*დანართი №2*

**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ**

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

*სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლა*

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

**თავმჯდომარე:**

მიხეილ ტეფნაძე (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

**წევრები:**

მედეა მაქაცარია (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი);

ქეთევან სადრაძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

ნატო კვეტენაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი);

ზურაბ ურიადმყოფელი (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი);

კახა გალდავა (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი);

თეონა აბრამიშვილი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი);

ჟანა ბელქანია (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი);

ელენე ბეთლემიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი);

სალომე არაბიძე (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი);

ვლადიმერ უშიკიშვილი (სპორტის საგნობრივი ექსპერტი).

# ნაწილი I. შესავალი

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია შესახებ | |
|---|---|
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება | სსიპ - ქალაქ თბილისის N122 საჯარო სკოლა |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | საჯარო სამართლის იურიდიული პირი |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | 204863255 |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | თბილისი |
| იურიდიული მისამართი | პეტრე ქავთარაძის ქ. N42 |
| ფაქტობრივი მისამართი | პეტრე ქავთარაძის ქ. N42 |
| საფოსტო ინდექსი | 0186 |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი | Skolebi.emis.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა | Tbilisi122@mes.gov.ge |
| ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი | 032 230 33 95 |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი) | “ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლაში ვიზიტის შესახებ” სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 4 აგვისტოს MES 4 23 0000964050 ბრძანება |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 2023 წლის 06 და 07 სექტემბერი |

## IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

***„ზოგადი განათლების შესახებ“*** საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

| N | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა | ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის |
|---|---|---|---|---|

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | | (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით) |
| 1. | დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | დაწყებითი | ქართული ენა | ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. N42 |
| 2. | საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საბაზო | ქართული ენა | ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. N42 |
| 3. | საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა | საშუალო | ქართული ენა | ქალაქი თბილისი, პეტრე ქავთარაძის ქ. N42 |

## V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

*მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი განხორციელდა ქალაქ თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქ. N42-ში. დაწესებულებამ, სრულად დააკმაყოფილა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტი.

## VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

*ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.*

| წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ | აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა | ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ |
|---|---|---|

| განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა | | მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა |
|---|---|---|
| | | |

### VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ - ქალაქ თბილისის N122 საჯარო სკოლაში არსებული თანამშრომლობითი გარემო განაპირობებს პედაგოგთა რამდენიმე თაობის ერთიან მუშაობასა და ახალი/ახალგაზრდა კადრების სკოლაში დასაქმებით დაინტერესებას. თვალშისაცემია ეფექტური მენეჯმენტი, ფუნქცია-მოვალეობათა ეფექტიანი გადანაწილება და მართვის სისტემის გამჭვირვალობა, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის უწყვეტობას. სკოლა ზედმიწევნით იცავს ზოგადი განათლების პოლიტიკის ხელშემწყობ თითოეულ საკანონმდებლო მოთხოვნას, ზრუნავს მოსწავლეების, მასწავლებლებისა და მოსწავლეების მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისთვის უსაფრთხო საგანმანათლებლო გარემოს შექმნაზე. სკოლაში დასაქმებული თითოეული პირი, რომლებთანაც უშუალოდ ვიზიტის პერიოდში შედგა ურთიერთობა, კარგად იცნობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სპეციფიკას.

## ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

### I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

| სტანდარტი/კომპონენტი | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| **სტანდარტი 1**<br>სკოლის ფილოსოფია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.1**<br>სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 1.2**<br>სკოლის დაგეგმვა და განვითარება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **სტანდარტი 3**<br>სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.1**<br>პერსონალის მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.2** | ☒ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| პერსონალის განვითარება | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.3**<br>პროცესების მართვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.4**<br>ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.5**<br>მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.6**<br>საინფორმაციო რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 3.7**<br>ფინანსური რესურსები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

| | |
|---|---|
| **სტანდარტი 4**<br>**მოსწავლეთა მხარდაჭერა** | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.1**<br><br>მოსწავლეთა უფლებების დაცვა | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომპონენტი 4.2**<br>მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
|---|---|---|
| მოსწავლეთა | ☒ | |

| რაოდენობა: 1700 | ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐ | |
|---|---|---|

**III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.**

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:
ექსპერტთა ჯგუფმა დადებითად შეაფასა:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათებლო პროგრამა;

---

**IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება**

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.*

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული<br>და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *ხარვეზი* |
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |

## V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)*[1]

*1* გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | |
| N3.4.1.1. | სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას. | მნიშვნელოვანია, სკოლამ ყურადღება მიაქციოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 21 სექტემბრის დასკვნაში ასახულ გარემოებას, სსიპ - ქალაქ თბილისის N122 საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობების სეისმურ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანასთან დაკავშირებით. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| | | |
|---|---|---|
| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი | *სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია* |

| | | |
|---|---|---|
| | (ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | |
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |

## VI. რჩევა

*გთხოვთ, გადმოიტანოთ* არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

| *სტანდარტი N1* | სკოლის ფილოსოფია | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N....* | | .............. |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N3* | სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N...* | | ............... |
| | | |
| | | |
| *სტანდარტი N4* | მოსწავლეთა მხარდაჭერა | *რჩევა* |
| *ინდიკატორი N....* | | |
| | | |

| *სტანდარტი N2* | სასკოლო კურიკულუმი<br>(ასახეთ კურიკულუმის დასახელება) | *რჩევა* |
|---|---|---|
| *ინდიკატორი N….* | | …………… |
| | | |
| | | |

**VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი** (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე**

*გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.*

ექსპერტთა ჯგუფმა სრულად გაიაზიარა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია.

# ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

**1. სკოლის ფილოსოფია**

**1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები**

**1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში**

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია სკოლის მისია და ხედვა, რომლებიც შემდეგნაიარადაა ჩამოყალიბებული: მისია - „ ... ჩვენ მუდმივად ვზრუნავთ პიროვნულ და აკადემიურ განვითარებაზე, რათა ჩამოვყალიბდეთ სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე სასკოლო საზოგადოებად ...“, ხოლო ხედვა - „ ... შემდგომი შვიდი წლის მანძილზე ჩვენ ვიქნებით: სწავლა- სწავლების ინოვაციური მეთოდებითა და თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი; თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე მუდმივად მზრუნველი; ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული დემოკრატიული განათლების ხელშემწყობი სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე სასკოლო საზოგადოება. ...“ გამომდინარე იქიდან, რომ მისიაში აქცენტი კეთდება სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე პიროვნების ჩამოყალიბებაზე და იგივე შინაარსი გრძელდება ხედვის ნაწილში, წარმოდგენილი მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლა მისიისა და ხედვის მიხედვით ზოგადსაგანმანათლებლო სივრცეში საკუთარ როლს განსაზღვრავს, როგორც სამოქალაქო პასუხისმგებლობის მქონე სასკოლო საზოგადოების ჩამოყალიბებაზე ორიენტიებული, დაწესებულება, რომელიც მიამრთულია სწავლების თანამედროვე მეთოდოლოგიის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და დემოკრატიული განათლების პრინციპების დანერგვის ხელშეწყობაზე. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულებაში შექმნილი საგანმანათლებლო სივრცე იქნება სასკოლო საზოგადოების უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის დირექტორის მიერ 2023 წლის 01 ივნისის N2-323 ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განმხორციელებელი ჯგუფი, რომელშიც შედიან სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე, სკოლის მასწავლებლები, დაწყებითი, საბაზო და საშუალო

საფეხურის მოსწავლეების მშობლები და საშუალო საფეხურის მოსწავლე. აღნიშნული ჯგუფის ერთ-ერთ ფუნქციად განსაზღვრული იყო სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება. ჯგუფმა, სასკოლო საზოგადოების წევრების გამოკითხვების საშუალებით შეიმუშავა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია ადგენეს სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებების გაზიარების მოთხოვნას. სკოლამ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების პირველად დოკუმენტები გააცნო სასკოლო საზოგადოების წევრებს და განხილა მისი შინაარსი. აღნიშნულის შემდეგ განისაზღვრა ტექსტების საბოლოო შინაარსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია skolebi.emis.ge-ზე არსებულ სკოლის გვერდზე, გამოკრულია სკოლის შენობაში და პედაგოგიურ კოლექტივთან თუ მოსწავლეების მშობლებთან შინაარსის გაცნობა მოხდება პედაგოგიური საბჭოს სხდომასა და კლასის მშობელთა საერთო კრებებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება დაწესებულების სტატუსს და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. დაწესებულების დასახელება განსაზღვრულია „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 16 მარტის N194 ბრძანებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 01 ივნისის N2-323 ბრძანება სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შემუშავებისთვის საჭირო ღონისძიებების განმხორციელებელი ჯგუფი შექმნის შესახებ;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- ვებ გვერდი skolebi.emis.ge.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება**
**1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა**

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, რომელშიც აღწერილია სასკოლო საზოგადოების წევრების (სკოლის პერსონალი, მოსწავლეები, მოსწავლეების მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები) პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების შესაბამისი აქტივობები, აქტივობებისას გამოსაყნებელი რესურსები, აქტივობებზე პასუხისმგებელი პირები და შედეგად მიღებული გადაწყვეტილებების/დოკუმენტის დამტკიცებაზე პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, რომელიც ექვემდებარება მონიტორინგსა და შედეგების პეროდულ შეფასებას (დამტკიცებიდან 3 წლის შემდეგ). შედეგების შეფასების ასახვას მიმდინარე ან ახალი სტრატეგიული განვითარების გეგმაში. სკოლამ ავტორიზაციის ექსპერტთა ვიზიტისას წარმოადგინა 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც შედგება სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შესაბამისი ისეთი ისეთი სტრატეგიული მიზნებისაგან, როგორებიცაა სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა, თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა; უსაფრთხო ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ინკლუზიური გარემოს შექმნა; ქვეყნის ღირებულებებზე დაფუძნებული დემოკრატიული განათლების უზრუნველყოფა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; სკოლის ინფრასტრუქტურის მუდმივი გაუმჯობესება და მოვლა პატრონობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის მიხედვით, სამოქმედო გეგმა ერთწლიანია, რომელიც უნდა დაეფუძნოს ყოველწიურ შეფასებას. სკოლამ წარმოადგინა 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც შედგება სტრატეგიული გეგმის შესაბამის მიმართულებებისგან: სწავლა-სწავლების ინოვაციური მეთოდების დანერგვა, თანამშრომელთა პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვა; უსაფრთხო ფიზიკური, ფსიქოლოგიური და ინკლუზიური გარემოს შექმნა; ქვეყნის ღირებულებებზე დაფუძნებული დემოკრატიული განათლების უზრუნველყოფა; მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება; სკოლის ინფრასტრუქტურის მუდმივი გაუმჯობესება და მოვლა პატრონობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრული სტრატეგიული მიზნების მისაღწევად დადგენილია სხვადასხვა რაოდენობის ამოცანები, ამოცანების მისაღწევი სხვადასხვა რაოდენობის აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, ვადები, რესურსების და პასუხისმგებელი პირები. აქტივობების შინაარსი უკავშირდება სწავლა-სწავლების პროცესთან დაკავშირებულ მუშაობას. შესრულების ინდიკატორებს ძირითადად წარმოადგენს სწავლებისა და შეფასების ხელშემწყობი დოკუმენტაცია. განხორციელების ვადები ეტევა სასწავლო წლის პერიოდში. რესურსად განსახზღვრულია, როგორც სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრული ადამიანური, ასევე სკოლის ბიუჯეტის შემადგენელი ფინანსური რესურსი. პასუხისმგებლებად განსაზღვრულები არიან სკოლის საშტატო განრიგისა და სტრუქტურის შესაბამისი პოზიციის პირები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- სკოლის საშტატო განრიგი.

**1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა**

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ერთ ერთი ნაწილია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება. აღნიშნული ნაწილის მიხედვით განსაზღვრულია მონიტორინგის მიზნები, პერიოდულობა, ფორმები და პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლაში არსებული პრაქტიკის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს ატარებს მეთოდოლოგიაში მითითებული სტრუქტურული ერთეული. გეგმის განხორციელების შედეგების შეფასება ხდება სტრუქტურული ერთეულების მიერ. სასკოლო საზოგადოების წევრთა აზრის მოსმენის საშუალებებად მიჩნეულია სამოერვეო საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოსა და კათედრების სხდომები, კლასის მოსწავლეთა მშობლების სარეთო კრებები, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან შეხვედრა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები განიხილება სამეურვეო საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. დამსწრე საზოგადოების აზრის მოსმენის შემდეგ კი ისახება პროცესების შემდგომი განვითარების ხელშემწყობი აქტივობები. განხორციელების ანგარიშებს სკოლის დირექტორი წარუდგენს პედაგოგიურ საბჭოს და განთავსდება სკოლის ვებ გევრდზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლაში არსებული პრაქტიკისა და მეთოდოლოგიის მიხედვით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების შეფასებით მიღებული ინფორმაცია აისახება შემდეგი ციკლის დოკუმენტებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;
- 2023-2030 წლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

### 3.1. პერსონალის მართვა

#### 3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც ითვალისწინებს სტრუქტურულ ერთეულებს, კოლეგიური სამუშაო ჯგუფებს (კომისიები/საბჭოები) და თანამდებობრივ პოზიციებს. სტრუქტურის მიხედვით განსაზღვრულია საშტატო განრიგი, რომელშიც ასახულია საშტატო პოზიციები. სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომლითაც დადგენილია დასაქმებულის პირადი საქმის შემადგენლობა, დასაქმებულ პირთა ფუნქციები და მათი საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დასაქმებულ პირებთან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულებები, რომლითაც განისაზღვრება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ხელშეკრულების არსებითი პირობები, მათ შორის დასაქმებულ პირთა ფუნქცია-მოვალეობები. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკითა და ხელშეკრულებებით განსაზღვრული ფუნქციები აღწერითია, მკაფიოდაა განსაზღვრული და დასაქმებულისთვის წარმოადგენს შესასრულებელი სამუშაოს ინსტრუქციას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტითა და სკოლის პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულებებით გადანაწილებული ფუნქციების შინაარსი დეტალურია და აღწერს ყველა თანამშრომლის ფუნქციებს. ფუნქციები შეესაბამება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საქმიანობას, ხოლო დაკისრებული პასუხისმგებლობებით შესაძლებელი იქნება ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო პროცესების განხორციელება. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შინაარსის შესაბამისად, სკოლას თითოეული მიზნის მიღწევისას განსაზღვრული ჰყავს ის ადამიანური რესურსი, რომელიც ჩართული იქნება განხორციელების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ორგანიზაციული პოლიტიკა;
- სკოლის საშტატო განრიგი;
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 23 ივნისის №2-365 ბრძანებით დამტკიცებული „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა (დებულება)“;
- საქმის მწარმოებლის ხელშეკრულება;
- დამლაგებელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- დარაჯთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- მტუკის ხელშეკრულება;
- სკოლის დირექტორის მოადგილესთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- ფსიქოლოგთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- მოსწავლის ასისტენტთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- მასწავლებლებთან დასადები ხელშეკრულების ნიმუშები;
- ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- შემცვლელ მასწავლებლებელთან გაფორმებული ხელშეკრულება.

**3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას**

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის შინაგანაწესის, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტების თანახმად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა შეესაბამება სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს და ითვალისწინებს შემდეგ ძირითად პრინციპებს: სამართლიანობა, მრავალფეროვნება, გუნდურობა, უწყვეტი პროფესიული განვითარება, დამსახურებაზე დაფუძნებული მიდგომა, გამჭვირვალობა, პროფესიული განვითარება, მონაწილეობის პრინციპი, ხარისხზე ორიენტაცია. აღნიშნული სამართლებრივი აქტების, ხელშეკრულებების, მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესის, სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტების შინაარსები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. წარმოდგენილი ოქმების, განცხადებების და ანგარიშების შინაარსების მიხედვით დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების მართვა მიმდინარეობს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა მარეგულირებელი დოკუმენტების მოთხოვნების თანახმად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი განსაზღვრავს პერსონალის მართვის ისეთ სტრატეგიებს, რომლებიც ხელს შეუწყობს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესების უწყვეტობას, ასევე აღწერილია პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული საკითხები. პოლიტიკის დოკუმენტი, გარდა სკოლაში დასაქმებული პირების/სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია მოვალეობებისა, განსაზღვრავს მათ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. შესაბამისად, სკოლის მიერ შერჩეული პერსონალის მართვასთან დაკავშირებული პროცესები პროგნოზირებადია. რაც შეეხება ინტერვენციას, ზემოაღნიშნული დოკუმენტით ასევე გათვალისწინებულია დასაქმებულის არ ყოფნის დროს, როგორ ხდება მისი ფუნქციების დელეგირება, რათა არ დაზარალდეს დაწესებულებაში მიმდინარე პროცესები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლოს ორგანიზაციულ სტრუქტურასა და საშტატო განრიგზე დაყრდნობით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღწერილია პოზიციის/თანამდებობის შესაბამისი ფუნქციები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლას

შემუშავებული აქვს კონკურსის გამოცხადების წესი და პროცედურების დოკუმენტი. სკოლის მიერ შემუშავებული სამართლებრივი აქტები ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. სკოლა რეგულაციების შესაბამისად ვაკანტურ ადგილებზე აცხადებს შიდა და ღია კონკურსებს. საკონკურსო განაცხადი ცხადდება საჯაროს სკოლის სივრცეში და ასევე, განთავსდება ელექტრონულ პლატფორმაზე https://teacherjobs.ge/. კონკურსის სამართლიანად/ობიექტურად, მოუკერძოებლად და გამჭვირვალედ ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით განისაზღვრება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაშიც ასევე გათვალისწინებულია გარედან მოწვეული პირი/ექსპერტი. საკონკურსო კომისია უზრუნველყოფს კონკურსის ეტაპების ჩატარებასა და კონკურსანტების შერჩევის პროცესს. შერჩევის პროცესის დასრულების შემდეგ, სამართლებრივი აქტით განსაზღვრული ვადის დაცვით იღებს გადაწყვეტილებას საკალიფიკაციო მოთხოვნების შესაბამისი კანდიდატის შერჩევის თაობაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. როგორ უკვე აღინიშნა, სკოლა პერსონალის შერჩევისას ითვალისწინებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ საკვალიფიკციო მოთხოვნებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით დადგენილია შესაბამის პოზიციაზე საკვალიფიკაციო მოთხოვნები. ვიზიტის პერიოდში გადამოწმებულ იქნა სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში დასაქმებულ პირთა შესახებ ინფორმაცია, მათ შორის მინიჭებული სტატუსები. შერჩევითობის პრინციპით ასევე განხილულ იქნა პერსონალის პირადი საქმეები, რომლის საფუძველზეც დგინდება, რომ დასაქმებულები შერჩეულნი არიან მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული საფუძვლების შესაბამისად, მათ მიერ წარმოდგენილია საკვალიფიკაციო მოთხოვნებით გათვალისწინებული დოკუმენტაცია/ცნობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა შეესაბამება სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს და ემყარება სხვადასხვა სახის პრინციპებს, მათ შორის მონაწილეობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული / სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ დირექტორის 2023 წლის 1 ივნისის №2-323 ბრძანების, კათედრების, პედაგოგიური საბჭოების დოკუმენტაციის, მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის 2019 წლის 18 თებერვლის № 2-31 ბრძანებების გაცნობით დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოება აქტიურად ჩართულია სკოლის მიერ განსაზღვრულ აქტივობებში. სკოლის მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, გეგმავენ ერთობლივ აქტივობებს. სკოლის სოციალური ქსელში ატვირთული მასალის დათვალიერების მიხედვით, ადამიანური რესურსი

ერთობლივად აორგანიზებს მოსწავლეთა მონაწილეობით აქტივობებს. სკოლის დოკუმენტაციის, სოციალური ქსელის დათვალიერებით დგინდება, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. შინაგანაწესის თანახმად პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა დასაქმებულის მიმართ იყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმას. გარდა ამისა, სკოლა რეგულარულად აქვეყნებს ინფორმაციას სკოლის თანამშრომლეთა მიღწევების და განხორციელებული აქტივობების შესახებ. პედაგოგთა საქმიანობა ითვალისწინებს კოლეგებისთვის გამოცდილების გაზიარებას. გარდა ამისა, სკოლას ჰყავს წამყვანი პედაგოგები, რომლებმაც სტატუსი აიმაღლეს სხვადასხვა აქტივობების განხორციელების და პორტფოლიოს წარმოების გზით. საუკეთესო პრაქტიკის შემთხვევები ვრცელდება სკოლის სოციალური ქსელის საშუალებით. აღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული / სამოქმედო გეგმის შემუშავებისათვის საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ“ დირექტორის 2023 წლის 1 ივნისის №2-323 ბრძანება;
- მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ სკოლის დირექტორის 2019 წლის 18 თებერვლის № 2-31 ბრძანება;
- „ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“;
- სკოლის შინაგანაწესი;
- მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;

- სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის დოკუმენტები;
- სამუშაო დროის აღრიცხვა;
- კონკურსის გამოცხადების წესი და პროცედურების დოკუმენტი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი;
- საგნობრივი კათედრის დებულება;
- ხარისხის მართვის ჯგუფის შექმნის შესახებ ბრძანება.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.2. პერსონალის განვითარება**

**3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე**

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების განმსაზღვრელი დოკუმენტი, საგნობრივი კათედრის დებულება, სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 23 ოქტომბრის 2-347 ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი. მექანიზმების დოკუმენტის შინაარსიდან გამომდინარე ხარისხის უზრუნველყოფა მიმართულია წარმატებული საგანმანათლებლო გარემოს და ხარისხიანი სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად. კათედრების დებულების შესაბამისად, საგნობრივი კათედრის მიზნებს წარმოადგენს მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა; სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, თანამშრომელთა კულტურის დამკვიდრება. სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება, კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დოკუმენტის შინაარსის თანახმად, სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფა მიმართულია წარმატებული საგანმანათლებლო გარემოს და ხარისხიანი სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად. პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, მოახდინე რეაგირება (განავითარე). შემოწმების განხორციელების დროს - სტანდარტთან შესაბამისობის დადგენის მიზნით მოწმდება: სკოლის ფილოსოფიის შესაბამისობა; კურიკულუმები, სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი; აკადემიური პერსონალი და მატერიალური ბაზა, მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემა. დოკუმენტში აღწერილია თითოეული აღნიშნული შესამოწმებელი ელემენტის შეფასების კრიტერიუმები. დოკუმენტის თანახმად, შეფასებისა და სასწავლო პროცესის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით ყოველწლიურად ტარდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვები. აღნიშნული გამოკითხვები ხელს უწყობს სკოლის საჭიროებების გამოვლენას, კერძოდ: რა კუთხით სჭირდება სასწავლო პროგრამული, მატერიალური თუ ადამიანური რესურსის კუთხით გაუმჯობესება და შესაბამისი ღონისძიებების დაგეგმვა/განხორციელება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 23 ოქტომბრის 2-347 ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებას. სკოლის

მართვის საინფორმაციო სისტემაში ასახულია მასწავლებლებისთვის მინიჭებული შესაბამისი სტატუსები, რაც იმაზე მეტყველებს, რომ  სკოლა ხელს უწყობს დასაქმებული პერსონალის კარიერულ ზრდას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლას შემუშავებული აქვს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი, რომელშიც აღწერილია ახალი თანამშრომლის კოლექტივთან ადაპტაციისა და სოციალიზაცის სივრცე. წესის შინაარსიდან გამომდინარე ადაპტაციის პროცესს სკოლა იწყებს სამუშაოს დაწყებამდე და დოკუმენტში ასევე აღწერილია თითოეული აქტოვობა, პასუხისმგებელი პირი და აქტივობის განხორციელების პერიოდი. სკოლის მატერიალურ - ტექნიკური რესურსი ისეა მოწყობილი, რომ იძლევა საშუალებას დასაქმებულმა წარმატებით გაიაროს ადაპტაციის ეტაპები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლას შემოშავებული აქვს სკოლის შინაგანაწესი, რომლის თანახმად განსაზღვრულია პერსონალის წახალისების სახეები და გამოყენების წესი. სკოლის დირექტორის მოადგილის სამართლებრივი აქტებით დამტკიცებულია,ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. სკოლა აღნიშნული მექანიზმების გამოყენებით  რაც ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ განვითარებას და პროფესიული განვითარების ინიციატივების წახალისებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 6 ივნისის 2-340 ბრძანებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის საჯარო სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების წესი“;
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 23 ოქტომბრის №2-347 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის საჯარო სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- სსიპ ქალაქ თბილისის N 122 საჯარო სკოლის საგნობრივი კათედრის დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 1 სექტემბრის 2-501 ბრძანებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის საჯარო სკოლაში ახალი თანამშრომლის ადაპტაციი წესი“;
- შრომითი ხელშეკრულებების ნიმუშები.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.3. პროცესის მართვა**

**3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად**

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ დოკუმენტი, რომელიც ეფუძნება შემდეგ პრინციპებს გამჭვირვალობა და გაზიარებულობა, მონაწილეობითობა, უწყვეტობა და ანგარიშვალდებულება. შიდა ხარისხის მართვა ეფუძნება შემდეგ მიდგომას: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე და განავითარე. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 23 ოქტომბრის 2-347 ბრძანებით შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფი. სასკოლო სასწავლო გეგმის განხორციელების შეფასებისა და სასწავლო პროცესის შემდგომში გაუმჯობესების მიზნით, სკოლაში ყოველწლიურად ტარდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვები. აღნიშნული გამოკითხვები ხელს შეუწყობს სკოლის საჭიროების გამოვლენას. თუ რა კუთხით სჭირდება სასწავლო პროგრამული, მატერიალური თუ ადამიანური რესურსის კუთხით გაუმჯობესება და შესაბამისი ღონისძიებების/აქტივობების დაგეგმვა / განხორციელება. სკოლის საჭიროებების დადგენით, დირექცია შეძლებს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის თანახმად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა საგანმანათლებლო საქმიანობისთვის ახორცილებს როგორც მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესებს, რომელთა იდენტიფიცირება და აღწერა სკოლის მიერ ხდება სკოლის სამართლებრივ დოკუმენტებში (სასკოლო კურიკულუმი, შრომით ხელშეკრულებები, შინაგანაწესი). გაწერილია კონკრეტულად ვის მიერ, რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი. აღნიშნული პროცესები უზრუნველყოფს სკოლის მისიისა და სტრატეგიული მიზნების მიღწევას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი, სკოლის ბაზაზე გასაჩივრების განხილვის წესი, კონკურსის გამოცხადების წესი და პროცედურები. სკოლას გაფორმებული აქვს დასაქმებულ პერსონალთან და მოსწავლესთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რითაც განსაზღვრულია მხარეთა უფლებამოსილებები. სამართლებრივი აქტებით გაწერილია სკოლის გადაწყვეტილებათა გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის პროცედურა. შინაგანაწესის და სკოლის ბაზაზე გასაჩივრების განხილვის წესის თანახმად განისაზღვრება საჩივრის წარდგენის პროცედურა, განმხილველი ორგანო, საჩივრის სუბიექტი, წარმომადგენლის უფლება, მტკიცების ტვირთი, საჩივრის ფორმა და გასაჩივრების პროცესებთან დაკავშირებული სხვა

საკითხები. დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის სივრცის, ვებ - გვერდის დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს გადაწყვეტილების გასაჩივრებისა და საჩივრის განხილვის სისტემა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას შემუშავებული აქვს სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი, სკოლის ბაზაზე გასაჩივრების განხილვის წესი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები. სამართლებრივი აქტების თანახმად, პროცესი წარიმართება ობიექტურობის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპის დაცვით. სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას როგორც მის უფლებებსა და მოვალეობებზე, ასევე, გადაწყვეტილებების გასაჩივრების როგორც შიდა სასკოლო, ასევე სკოლის გარეთ არსებულ მექანიზმებზე. სასწავლო წლის დასაწყისში პირველკლასელ მშობელსა და სკოლას შორის ფორმდება საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება, ასევე მშობელს აცნობენ შინაგანაწესს, კლასის დამრიგებლები აწვდიან ინფორმაციას მოსწავლეებს მათი უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, ასეთივე შინაარსის შეხვედრები იმართება მშობლებთან. უფლებების დაცვასთან დაკავშირებული წესები გამოკრულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ატვირთულია სკოლის ვებ გვერდზე. 2022 წლის 16 ნოემბრის დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმით დასტურდება, რომ სკოლაში საჩივრის განხილვა უზრუნველყოფილია დადგენილი პროცედურის თანახმად. დოკუმენტაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის შინაგანაწესი;
- „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ დოკუმენტი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები;
- სამეურვეო საბჭოს მიერ 2022 წლის 7 სექტემბრის №11 ოქმით დამტკიცებული სსიპ - ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლის შინაგანაწესი“;

- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 23 ოქტომბრის 2-347 ბრძანება „ხარისხის განვითარებისა და პროფესიული განვითარების ჯგუფის შექმნის შესახებ“;
- მოსწავლის, პერსონალის, მშობლის კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი,
- სკოლის ბაზაზე გასაჩივრების განხილვის წესი;
- კონკურსის გამოცხადების წესი და პროცედურები;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგია);
- 2022 წლის 16 ნოემბრის დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი;
- მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- მშობელთან კომუნიკაციის დოკუმენტი;

**3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა**

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს მშობლებთან ურთიერთობის დებულება, რომლის თანახმად განსაზღვრულია მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები. მშობელთან კომუნიკაცია და მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება მშობელთა კრებებზე, ელექტრონული პლატფორმის გამოყენებით, მშობელთა ინდივიდუალური შეხვედრებით, ელექტრონული ფოსტის, ტელეფონის, სოციალური ქსელის მეშვეობით. საგნობრივი კათედრის და პედაგოგიური საბჭოს დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ პერსონალისთვის ინფორმაციის მიწოდება ხდება მართვის

პროცესებთან დაკავშირებით. სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, რითაც დადგენილია უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების პროცედურები. ყოველწლიურად ტარდება მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა გამოკითხვები. აღნიშნული გამოკითხვები ხელს უწყობს სკოლის საჭიროების გამოვლენას და სკოლა გეგმავს განსახორციელებელ ღონისძიებებს. სკოლის შენობის სივრცის, სოციალური ქსელის, ვებ - გვერდის დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლა დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირებულობის მიზნით უზრუნველყოფს სკოლის დოკუმენტაციის, აქტივობების, ღონისძიებების თაობაზე ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. ასევე, სოციალური ქსელში მხარეთა მიერ ასახული კომენტარების საშუალებით სკოლას აქვს შესაძლებლობა გააკეთოს ანალიზი, შეიმუშაოს შესაბამისი რეაგირების მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურის შესაბამისად განსაზღვრულია კოლეგიური ორგანოები, სკოლის შიდა სამართლებრივი აქტებით რეგულირდება კოლეგიური ორგანოების ფუნქცია - მოვალეობები. სკოლაში კანონმდებლობის შესაბამისად კოლეგიალური ორგანოების სახით ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია მასწავლებლების, მოსწავლეების, მშობლების წარმომადგენლებით. სკოლის მიერ წარმოდგენილი ოქმების, ანგარიშების საფუძველზე დგინდება, რომ აქტიურად არიან ჩართულები სკოლაში მიმდინარე საქმიანობის საკითხებში, ისინი მონაწილეობენ სტრატეგიული მიზნების მისაღწევად შექმნილი სამოქმედო გეგმის შესრულების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა;
- მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების წესი;
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 28 ივნისის №8 ოქმი;

- სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 6 სექტემბრის ოქმი, სამეურვეო საბჭოს გეგმა/განრიგი;
- დისციპლინური კომიტეტის 2022 წლის 16 ნოემბრის №1 ოქმი;
- მრჩეველტა საბჭოს შექმნის შესახებ 2019 წლის 18 თებერვლის 2-31 ბრძანება;
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება;
- სოციალური ქსელი;
- ვებ - გვერდი.

შეფასება:
○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება**

**3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა**

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასკოლო საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოები დასაცავად, სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, უსაფრთხოების პოლიტიკა, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმა. განსაზღვრულია უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას პასუხისმგებელი პირები, სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები, განსაზღვრულია საგანგებო შტაბის შემადგენლობა. გაფორმებულია ხელშეკრულება სამ პირთან სკოლის დარაჯის პოზიციაზე. სკოლას ჰყავს სამი მანდატური, ექიმი და სასწავლო პროცესის დრო მიმდინარეობის ხელშესაწყობად შემუშავებულია კლასის მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი სკოლის ორივე შენობა-ნაგებობის სართულებისთვის. სკოლის ყველა სართულზე განთავსებულია ცეცხმაქრები, საევაკუაციო გეგმა, პირველ სართულზე დამონტაჟებულია სახანძრო სტენდი. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე დამონტაჟებულია 32 ვიდეოკამერა. პირველ სართულზე მოწყობილია ექიმის კაბინეტი საჭირო ინვენტარითა და სამედიცინო საშუალებებით. ორივე შენობაში დამონტაჟებულია სახანძრო უსაფრთხოების სიგნალიზაციის სისტემა. მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი გამოკრულია ყველა სართულზე. სკოლას აქვს სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტომის მიერ 2023 წლის 11 ივლისის N135 აქტი სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლების შესახებ (მიწერილობა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების აღმოფხვრის შესახებ) და არ ჰქონდა დასკვნა შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ. დასკვნის პროექტის გაცნობის შემდეგ, სსიპ - ქალაქ თბილისის N122 საჯარო სკოლამ, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში წარმოადგინა 2023 წლის 13 ოქტომბრის MES 2 23 0001372595 წერილი და მასზე თანდართული სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 21 სექტემბრის დასკვნა რომლის მიხედვითაც „ ... ქ. თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქ. #42-ში, მდებარე #122 საჯარო სკოლის ორივე შენობას მნიშვნელოვანი

დაზიანებები არ აღენიშნება. მათი ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და ექსპლუატაცია უსაფრთხოა, თუმცა სეისმურ ნორმებთან შეუსაბამოა. დაზიანებები დეფორმაციათა მიღებული კლასიფიკაციის მიხედვით I-II ხარისხისაა. დაზიანებების ძირითადი გამომწვევი მიზეზებია ტექნიკური მოუვლელობა, მექანიკური ზემოქმედებები და ასაკობრივი ცვეთა. სანრთულიანობასთან მიმართებაში შესრულდეს კვლევაში მითითებული რეკომენდაცია. არსებული დაზიანებები საფრთხის შემცველი არ არის, მაგრამ შემდგომი ხანგრძლივი ექსპლუატაციისათვის საჭიროა დროულად ჩატარდეს გაძლიერებითი სამუშაოები, რითაც სკოლის შენობის სეისმომედეგობა გარვეულწილად გაიზრდება ... „ გარდა მარეგულირებელი დოკუმენტების შინაარსისა, სადამრიგებლო პროგრამის, საგნობრივი კურიკულუმების, საკლასო და სასკოლო პროექტების შინაარსებში ვხვდებით ისეთ საგანმანათლებლო თემატიკებს, რომელთა დამუშავებითაც ხელი შეეწყობა სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლის შინაგანაწესის შინაარსი გამომდინარეობს, „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“, „მოსწავლის ქცევის კოდექსის დამტკიცების შესახებ“; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების და მეცნიერების მინისტრის #57/ნ ბრძანებით „მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების მინისტრის ბრძანებების შინაარსებიდან. აღნიშნული ნორმატიული აქტების გათვალისწინებით შემუშავებულია შიდა სამართლებრივი აქტები, რომლითაც განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები/წესები და გამოყოფილია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირები. წესრიგის დასაცავად სკოლას ჰყავს მანდატურები, შინაგანაწესი არეგულირებს სასწავლო დროს სკოლის შენობაში უცხო პირთა შემოსვლის პირობებს, დანერგილია ვიზიტორთა საშვთა სისტემა და მთავარ შემოსასვლელს აკონტროლებს დარაჯი, რომელიც ვიზიტორის შესახებ ინფორმაციას არეგისტრირებს შესაბამის ჟურნალში. მარეგულირებელი დოკუმენტების მიზნების მისაღწევად, სკოლა შესაბამის რეაგირებას ახდენს მანდატურებისა თუ სხვა დაინტერესებული მხარეების მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე, რომელიც შეიძლება შეიცავდეს პირდაპირ ან არა პირდაპირ მინიშნებას სკოლაში წესრიგის დარღვევის შესახებ. გარდა რეაგირებისა, სკოლა მიმართავს პრევენციულ ღონისძიებებს სასკოლო საზოგადოების წევრების ინფორმირებისათვის წესრიგის დაცვასთან დაკვაშირებული

საკითხების შესახებ. ხორციელდება საკლასო და სასკოლო პროექტები. მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობა, სახელმწიფო ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სკოლის შინაგანაწესის, სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკის, ახალი თანამშრომლისა და მოსწავლის ადაპტაციის წესის, ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სკოლის შიდა ინსტრუქციის, სასკოლო სასწავლო გეგმის კონცეპტუალური ნაწილის, სადამრიგებლო პროგრამებისა თუ კომპლექსური ბუნების დავალებების იდეების შინაარსების მიხედვით შესაძლებელი იქნება სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს ჩამოყალიბება, რასაც ხელს შეუწყობს სკოლის ეზოსა და შენობა-ნაგებობებში არსებული ინფრასტრუქტურა. სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი. თოთოეულ კლასს ჰყავს დამრიგებელი. სკოლის პერსონალსა და მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთა გაფორმებული ხელშეკრულებების შინაარსები ორიენტირებულია ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების საუკეთესო ინტერესების დაცვას სასკოლო გარემოში. სკოლის ინფრასტრუქტურის გამოყენებით შესაძლებელია სხვადასხვა ჯგუფური თემატური აქტივობის დაგეგმვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლას შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური პირობებს დაცვის მექანიზმი. ჰყავს დამლაგებლები. მათთან გაფორმებული ხელშლეკრულებების მიხედვით შესაძლებელია სკოლის პერიმეტრისა და შენობა-ნაგებობების დალაგება-დასუფთავება. სკოლის შენობაში განთავსებულ ყველა სველ წერილს მიეწოდება წყალი. სკოლის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ხარჯები სანიტარული და ჰიგინური საშუალებებისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
5. სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები, და განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვასა და დაცვის პროცესის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები. სკოლის პეროსონალსა და მოსწვალეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებით განსაზღვრულია პერსონალური ინფორმაციის გაცემის პირობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
6. სკოლის მიერ შემუშავებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები მოიცავს ინფორმაციის დაცვის პრინციპებს. დოკუმენტით განსაზღვრულია დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნები, პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვა წესი ელექტრონული პროგრამის (teams) გამოყენების შემთხვევაში, მოსწავლის მონაცემების დაცვა ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, მონაცემების დაცვა შენობაში

შესვლისა და გასვლის აღრიცხვისას, მონაცემების დაცვა ელექტრონული ფოსტისა და ტელეფონის გამოყენებისას, მონაცემების დაცვა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმის წარმოებისას, მონაცემების დაცვა ვაკანსიების პორტალზე სკოლის გვერდის მართვისას. შემუშავებული წესის თანახმად განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილებები, მონაცემთა სუბიექტისთვის ინფორმაციის მიწოდების და მონიტორინგის განხორციელების წესი. სკოლის დირექტორის სამართლებრივი აქტით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დოკუმენტის გაცნობას სკოლაში დასაქმებული პირების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლებისათვის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში ყველა დაინტერესებულ პირს განუმარტავს პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლის  შიდა სამართლებრივი აქტებით განისაზღვრება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმები. სკოლა პერიოდულად აფასებს უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგილი მექანიზმების ფუნქციონირებას. მაგალითად ვიდეო კამერები, დარაჯების მუშაობა (დაკვირვების რეჟიმში), მათი დახმარება, მორიგეობა სართულებზე, დერეფნებში, ეზოში, კვების ბლოკში. სხვა. მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე განიხილება უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფასთან დაკავშირებულ საკითხები, რომელიც იღებს შესაბამის რეკომენდაციებს და ისმენს სკოლის დირექტორის ანგარიშს რეკომენდაციების შესრულების მდგომარეობასთან დაკავშირებით. მრჩეველთა საბჭოს სხდომებს სკოლა იყენებს იმ ღონისძიებათა (მათ შორის პრევენციული) დასაგეგმად, რომელიც მიზანშეწონილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის ტერიტორიისა და შენობების დათვალიერება ქმნის უსაფრთხო გარემოს შთაბეჭდილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 6 ივნისის 2-334  ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმები“;

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 6 ივნისის ბრძანება 2-335 „სსიპ - ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლაში პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პაუსხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ:
- სკოლის შინაგანაწესი;
- საგანგებო მართვის გეგმა;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 12 სექტემბრის  ბრძანება 2-343 „სსიპ - ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლაში საგანგებო შტაბის შექმნისა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 11 ივლისის ბრძანება 2-421 „სსიპ - ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლაში სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ";
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 5 სექტემბრის ბრძანება 2-509 „სსიპ - ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ";
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 23 ივნისის 2-364 ბრძანებით  დამტკიცებული „სსიპ - ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა";
    - ახალი თანამშრომლის ადაპტირების წესი;
    - მოსწავლის ადაპტაციის წესი;
    - სადამრიგებლო პროგრამები;
    - სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი;
    - ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული სკოლის შიდა ინსტრუქცია;
    - სასკოლო სასწავლო გეგმა.

შეფასება:

○ *გთხოვთ,  ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა**

**3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას**

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

   *ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.*

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. ვიზუალური დათვალიერებისა და საჯარო რეესტრის ამონაწერი მიხედვით სსიპ - ქალაქ თბილისის N122 საჯარო სკოლა მდებარეობს ქალაქ თბილისში, პეტრე ქვათარაძის N42-ში (ს.კ. 01.14.03.040.328). აღნიშნულ მისამართზე, 9422.00 კვ.მ. მიწის ფართობზე დგას ორი შენობა-ნაგებობა. შენობა-ნაგებობა N1 ოთხსართულიანია და ფართობი წარმოადგენს 3526.41 კვ.მ.-ს, ხოლო შენობა-ნაგებობა N2 ორსართულიანია და ფართობი შეადგენს 2430.94 კვ.მ.-ს. ორივე შენობა-ნაგებობას აქვს სარდაფი. I- ოთხსართულიანი- შენობაში მოწყობილია საკლასო ოთახები, კომპიუტერული ლაბორატორია, სამასწავლებლო, საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რესურსოთახი, ბიბლიოთეკა, კოლეჯ იკაროსთან მემორანდუმის ფარგლებში ფუნქციონირებადი ,,კონდიტერისა და კულინარის კურსები" ოთახი. II - ორსართულიან კორპუსში მოწყობილია საკლასო ოთახები, სპორტული დარბაზი, ორი სააქტო დარბაზი: პირველ სართულზე ტარდება მუსიკის გაკვეთილები, მეორე სართულზე-სააქტო დარბაზი მდებარეობს. კეთილმოწყობილია და აღჭურვილია საოფისე სკამებით, პროექტორით, ინტერნეტით. დარბაზი გამოიყენება შეხვედრების, პრეზენტაციების, მოსწავლეთა მონაწილეობით სპექტაკლებისთვის, სხვადასხვა ღონისძიებებისთვის. სკოლაში, ჯამში მოწყობილია 38 საკლასო ოთახი, რომლებსაც აქვთ 2-4 ფანჯარა, არის ბუნებრივი განათება. სკოლაში 15 სველი წერტილი განაწილებულია ყველა სართულზე. ცალკეა 4 სველი წერტილები მასწავლებლებისთვის და ერთი სველი წერტილი სსსმ მოსწავლისთვის. N 1 კორპუსში დამონტაჟებული ლიფტი სსსმ მოსწავლის შენობაში შემოსასვლელად. სკოლის ეზო გამოყენებულია სასკოლო საზოგადოებისთვის რეკრიაციულ ზონად. სკოლაში არის ვაიფაი და ინტერნეტი. სკოლაში სწავლა ერთ ცვლიანია და 2022-2023 სასწავლო წელს სწავლობდა 962 მოსწავლე. დაწესებულება გეგმავს არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე სწავლა-სწავლების პროცესი წარმართოს ორ ცვლაში. დოკუმენტაციის შესწავლისა, სკოლის ტერიტორიის, მათ შორის მატერიალურ - ტექნიკური რესურსის დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლა აქვს სწავლა-სწავლების პროცესის განხორციელების ხელშემწყობი მატერიალური რესურსი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. წარმოდგენილი სკოლის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმის, მატერიალური რესურსით სარგებლობის წესის (მოიცავს ლაბორატორიების, სპორტული ინფრასტრუქტურის, რესურს ოთახის გამოყენების წესებს), ბიბლიოთეკის სარგებლობის წესის, პერსონალსა და მოსწავლეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შინაარსების მიხედვით, დაწესებულება სასკოლო საზოგადოების წევრებს აძლევს ინფრასტრუქტურის გამოყენების შესაძლებლობას. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის პერიოდში, სკოლის პერსონალი გადანაწილებული იყო სხვადასხვა სამუშაო სივრცეში

და იყენებდნენ სკოლის ინვენტარსა და სკოლის ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებს. შენობის დერეფნებისა და საკლასო ოთახების კედლებზე გამოკრულია მოსწავლეთა ნაშრომები. სოციალურ ქსელში განთავსებულ სკოლის გვერდზე ატვირთული ფოტო-მასალის მიხედვით სკოლის ინფრასტრუქტურის გამოყენებით ხორციელდება საკლასო და სასკოლო აქტივობები. დოკუმენტაციის შესწავლის, სკოლის ტერიტორიის, მათ შორის მატერიალურ - ტექნიკური რესურსის დათვალიერებით დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოების წევრებს აქვთ რესურსებზე ხელმისაწვდომობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასკოლო საზოგადოების წევრების სკოლის შენობაში გადაადგილებისა და სხვადასხვა სართულზე განთავსებული საგანმანათლებლო რესურსის გამოყენებისთვის, სკოლის შენობის შესასვლელში დამონტაჟებულია ღია ლიფტი, ხოლო სკოლის შენობის სართულებზე გადასაადგილებლად გამოიყენება მოძრავი პანდუსები. საკლასო ოთახები იძლევა მოსწავლეთა განლაგების შესაძლბელობას მათი დიაგნოზების ან სასწავლო პროცესში წარმოქმნილი საჭიროებების მიხედვით. სკოლის შენობაში განთავსებულია 1 ადაპტირებული სველი წერტილი. რესურს ოთახი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შიდა აზომვითი ნახაზისა და ვიზუალური დათვალირების მიხედვით, სკოლის ტერიტორიაზე მოწყობილია სხვადასხვა ადმინისტრაციული და საგანმანათლებლო სივრცე: სამასწავლებლო, ადმინისტრაციის სამუშაო ოთახები, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია, 2 სააქტო დარბაზი, ღია სპორტული მოედანი, დახურული სპორტული დარბაზი, გამწვანებული ეზო და საკლასო ოთახები აღჭურვილია სამუშაო მაგიდებით, ინდივიდუალური საკლასო მერხებითა და სკამებით, სპორტული ინვენტარით. წარმოდგენილი კურიკულუმების, პროექტების გეგმების, გაკვეთილის გეგმების, კლასის დამრიგებლების სადამრიგებლო პროგრამებისა თუ მშობელთა კრებების, კოლეგიალური ორგანოების ოქმების შინაარსების მიხედვით, ზემოაღნიშნულ სივრეებში ტარდება საკლასო და სასკოლო აქტივობები თუ სხვადასხვა სამუშაო შეხვედრები, რაც ფიზიკურ გარემოს წარმოაჩენს სიციო-კულტურულ სივრცედ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. საგნობრივი კურიკულუმებისა თუ საგანმანათლებლო პროექტების მიზნების მისაღწევად, სკოლის ეზოში მოწყობილია ღია სპორტული მოედანი, შენობა-ნაგებობაში დახურული სპორტული დარბაზი, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორიები, რესურსოთახი, 2 სააქტო დარბაზი, საკლასო, ადმინისტრაციული და დამხმარე ოთახები, რომლებიც აღჭურვილია შესაბამისი საგანმანათლებლო ინვენტარით და შესაძლებელი იქნება სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საათობრივი ბადისა და დღის განრიგის შესაბამისი სწავლა-სწვალების პროცესის განხორციელება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- ამონაწერი შემოსავლების სამსახურიდან;
- შიდა აზომვითი ნახაზი;
- ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი;
- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;
- სკოლის შინაგანაწესი,
- სასკოლო სასწავლო გეგმა,
- მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი;
- ბიუჯეტი;
- პერსონალსა და მოსწვალეების მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუშები;
- ინვენტარიზაციის განხორციელების დოკუმენტაცია.

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

**3.6. საინფორმაციო რესურსები**

**3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას**

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ იქნა ერთწლიანი ციფრული განვითარების სამოქმედო გეგმა, სადაც ასახულია ყველა ის საჭიროება და განხორციელების გზები, რომელიც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლის სამოქმედო გეგმის შესაბამისად ერთ - ერთ მიზნად განსაზღვრულია სკოლის ინფრასტრუქტურის მუდმივი გაუმჯობესება და მოვლა პატრონობა. სკოლაში არის კომპიუტერული ლაბორატორია, სადაც განთავსებულია საჭირო რაოდენობის ტექნიკა, რომლის გამოყენება სასწავლო მიზნებისათვის შეუძლიათ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს. სკოლის ადმინისტრაციული პერსონალი უზრუნველყოფილია საჭირო რაოდენობის ინფორმაციული ინფრასტრუქტურით, რაც ხელს უწყობს დასაქმებულ პირებს შეუფერხებლივ და ეფექტიანად განახორციელოს საქმიანობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 6 ივნისის №2-338 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ თბილისის მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი“. წარმოდგენილი წესით განსაზღვრულია ლაბორატორიით სარგებლობაზე უფლებამოსილი პირები, ასევე კომპიუტერული ტექნიკის სარგებლობის წესები. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის. სკოლის პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა პირადი პროფესიული განვითარებისათვის გამოიყენოს სასკოლო ინვენტარი და მათ შორის კომპიუტერული ბაზა. კომპიუტერების ძირითადი ბაზა განთავსებულია ლაბორატორიაში. სკოლა უზრუნველყოფილია ლეპტოპებით, რომელთა გამოყენებაც მასწავლებლებს შეუძლიათ საჭიროებისამებრ, გაკვეთილების დაგეგმვისა და ჩატარების მიზნით. სკოლაში განთავსებულია ლაბორატორიის გამოყენებაც სურვილის შემთხვევაში შეუძლიათ მასწავლებლებს. კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობა შეუძლიათ მოსწავლეებსაც სასწავლო მიზნებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 6 ივნისის №2-338 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ ქალაქ თბილისის მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი";
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა.

**3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად**

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 6 ივნისის №2-331 ბრძანებით დამტკიცებული საქმიასწარმოების წესი. აღნიშნული დოკუმენტით განსაზღვრულია შემოსული, გასული, შიდა დოკუმენტაცია; ბრძანებების მომზადების, გაფორმების, გამოცემის და მათი აღრიცხვის წესი; ოქმის, წერილის, ცნობის გაფორმების წესი; ხელშეკრულების და სხვა დოკუმენტაციის აღრიცხვის წესი და ა.შ. წესის გაცნობის საფუძველზე დგინდება, რომ ის შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა იყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებსა და ელექტრონულ სისტემებს eSchool.emis.ge-ს, მათ შორის დოკუმენტბრუნვის სისტემას - Eflow; eSchool-ს სისტემის მეშვეობით, ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და ჩარიცხვა-ამორიცხვის, სკოლის შესახებ ძირითად ინფორმაციის, აგრეთვე სკოლაში დასაქმებული პერსონალის მონაცემების, მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მონაცემების, საკონტაქტო ინფორმაციის, სამეურვეო საბჭოს წევრების შესახებ

ინფორმაციის ასახვა. Eflow სისტემის მეშვეობით ხდება კორესპოდენციის წარმოება. სკოლა იყენებს ელექტრონულ ფოსტას tbilisi122@mes.gov.ge პირველკლასელთა რეგისტრაცია ხდება ბმულზე registration.emis.ge, სკოლას აქვს საკუთარი მომხმარებლის გვერდი შესყიდვების სისტემაში procurement.gov.ge სადაც უფლებამოსილი პირის მიერ ხდება შესყიდვების გეგმის და სხვა დოკუმენტაციის რეგისტრაცია. სკოლა დარეგისტრირებულია eauction.ge-ზე, სადაც სკოლა საჭიროების შემთხვევაში აცხადებს აუქციონს ფართის იჯარით სარგებლობის გაცემის მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. eSchool.emis.ge-ზე სკოლას აქვს საკუთარი პროფილი. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლასა და საქმისმწარმოებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, განსაზღვრულია დასაქმებულის ვალდებულებები, მათ შორის საჯარო ინფორმაციის გაცემის ვალდებულება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის განმახორციელებელ სხვადასხვა უწყებებთან. კერძოდ, სკოლის დირექტორი ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, პრეზიდენტს და პრემიერ-მინისტრს წარუდგენს საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ მონაცემებს და აქვეყნებს საკანონმდებლო მაცნეში. ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს აწვდის ინფორმაციას ქონების სარგებლობაში გადაცემის შესახებ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ყოველწიურად წარუდგენს ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიშს სკოლის მიერ განხორციელებული ინკლუზიური სწავლების შესახებ. ხოლო, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე დირექტორი სამეურვეო საბჭოს წარუდგენს ანგარიშს წინა პერიოდის სასწავლო პროცესის მიმდინარეობისა და ფინანსური მდგომარეობის შესახებ. მოთხოვნის შემთხვევაში, საგანმანათლებლო რესურსცენტრიდან შემოსულ წერილებზე რეაგირება ხდება მათში მითითებულ ვადების დაცვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 6 ივნისის №2-331 ბრძანებით დამტკიცებული საქმიასწარმოების წესი;
- საქმისმწარმოებელთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება;
- ელ. ფოსტა, Eschool, Eflow;
- 10 დეკემბრის ანგარიში სასწავლო პროცესისა და ფინანსური საქმიანობის შესახებ;
- ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში.

**3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას**

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა საზოგადოების ინფორმირებისათვის იყენებს სსიპ - განათლების მართვის საინფომაციო სისტემის მიერ შექმნილ ვებ-გვერდს skolebi.emis.ge, რომელზეც განთავსებულია სკოლის გვერდი

https://skolebi.emis.ge/schools/163?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%96122%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90. სოციალურ ქსელში შექმნილია სკოლის გვერდი. ვებ - გვერდის, სოციალური ქსელის დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა იყენებს საკომუნიკაციო საშუალებების საზოგადოების ინფორმირების, კომუნიკაციის მიზნით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა ვებ - გვერდსა და სოციალურ ქსელში ინფორმაციის განთავსების საფუძვლად იყენებს სკოლის კოლექტივის მიერ შემუშავებული დოკუმენტაციის შინაარსებს (მაგ. სასკოლო სასწავლო გეგმა, საგნობრივი კურიკულუმები, პროექტების გეგმები და ა.შ.). ვებ - გვერდისა და სოციალური ქსელის დათვალიერებით დგინდება, რომ რომ სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სოციალურ ქსელში სკოლის აქტივობების შესახებ ვიზიტორების ასახული კომენტარების, ელ. ფოსტებზე შემოსული შეტყობინებების შინაარსები, განიხილება სკოლის ადმინისტრაციასა და პედაგოგიურ კოლექტივში და იგეგმება შესაბამისი პრევენციული ღონისძიებები. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის გვერდია https://skolebi.emis.ge/schools/163?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%96122%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90, რომელზეც განთავსებულია ქართულენოვანი ტექსტები. დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 1 სექტემბრის 2-496 ბრძანებით განსაზღვრულია ვებ - გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, სტრუქტურა, ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურები, მასწავლებელთა რაოდენობა, მოსწავლეთა რაოდენობა, სექტორის ენა და საკონტაქტო ინფორმაცია. შვიდ წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა, წლიური სამოქმედო გეგმა, მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის მექანიზმი, სასწავლო პროცესთან

დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები, სკოლის ბაზაზე გასაჩივრების განხილვის წესი; სკოლის ინფრასტრუქტურის ამსახველი ფოტომასალა. პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 1 სექტემბრის 2-496 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლის ვებ - გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირების დანიშვნის შესახებ;
- ვებ - გვერდი skolebi.emis.ge;
- სკოლის სოციალური ქსელი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**3.7. ფინანსური რესურსები**

**3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია**

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული 2023 წლის ბიუჯეტი, რომლის შესაბამისად სკოლის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს ვაუჩერული დაფინანსება. ამჟამად ბიუჯეტი განისაზღვრება წელიწადში 1 397 206 ლარით 960 მოსწავლის ანგარიშით, სადაც შედის საკუთარი შემოსავლებიც წელიწადში 54 365 ლარის ოდენობით. სკოლაში შესაბამისი მომსახურებისთვის ფართები იჯარითაა გაცემული, 2023 წლის ბიუჯეტში ეკონომიკური საქმიანობიდან მისაღები სავარაუდო შემოსავალი შეადგენს 54365 ლარს. სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში ასახულია შესაბამისი სასწავლო წლის საჭიროებები. სკოლა ამ საჭიროებებს უსაბამებს ფინანსურ რესურსებს, რომელთა დადგენა ხდება წინა და მომდევნო წლის შესყიდვების გეგმის შედგენის პროცესში. სკოლამ 2022 წელს შეიმუშავა ფინანსური ხასიათის სამოქმედო გეგმა და სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების დეტალური რეგულაციები, სადაც ჩანს როგორ წარმართავს სკოლა ფინანსების მართვას. დირექცია შესყიდვების გეგმის შედგენამდე ახდენს მიღებული ინფორმაციის ანალიზს და მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით მუშავდება სახელმწიფო შესყიდვების ახალი გეგმა. აღნიშნული სკოლის ბიუჯეტით განსაზღვრული თანხა ფარავს სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულ ხარჯებს და საჭიროებებს, მათ შორის კომუნალურ ხარჯებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ წარმოდგენილია დოკუმენტაცია ფინანსური ანგარიშგების შესახებ, ორი კვარტლის შესრულების ანგარიშები, დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ სამეურვეო საბჭოსადმი წარდგენილი ანგარიში (ფინანსური და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. სკოლა სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას შეიმუშავებს ყოველის სასწავლო წლის დასაწყისში, შესყიდვების წლიურ გეგმას შეიმუშავებს მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების გათვალისწინებით ყოველი წლის 20 ნოემბრამდე, წლიურ ბიუჯეტს კი ფინანსური წლის ბოლომდე. შესაბამისად, ფინანსური დაგეგმვის პროცესში სკოლა ახდენს აღნიშნული დოკუმენტების კორელაციას. შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების გეგმის შემუშავებამდე სკოლა თანამშრომლებისაგან აგროვებს ინფორმაციას რეალური საჭიროებების შესახებ. ინფორმაციის მოგროვების პროცესში მონაწილეობს სკოლის ყველა სტრუქტურული

რგოლი/ერთეული (მაგ. საგნობრივი კათედრები, კლასის დამრიგებელი, კანცელარია, ბიბლიოითეკა, საინფორმაციო მენეჯერი, სპორტული ინვენტარი და სხვა). სკოლა თანხებს განკარგავს სამეურვეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მიმართავს სამეურვეო საბჭოს კორექტირებისათვის. ცვლილების შემთხვევაში სკოლის დირექტორი გამოსცემს შესაბამის ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ აქტს. ბიუჯეტირების პროცესში ხდება პროცესების მონიტორინგი და დროული რეაგირება მოსალოდნელ ცვლილებებზე. სკოლა ახდენს მიმდინარე შემოსავლებისა და გასავლების კონტროლს. მონიტორინგის შედეგები მოცემულია ფინანსური ანგარიშების სახით. სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად დასტურდება, რომ სკოლაში მოქმედებს ფინანსების მართვის სისტემა, რომელიც მოიცავს ბიუჯეტის დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის პროცესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის მიერ 2022 წლის 18 ნოემბერს დამტკიცებული „სსიპ - ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლის მიერ შესყიდვების განხორციელების წესი და შესყიდვების წლიური ფორმა“;
- სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 29 დეკემბრის სხდომის ოქმი №18 და ამავე საბჭოს 2023 წლის 13 თებერვლის სხდომის ოქმი №3;
- სკოლის 2023 წლის ბიუჯეტი;
- 2024 წლის საპროგნოზო ბიუჯეტი;
- სკოლის სამოქმედო გეგმა;
- პირველი კვარტლის შესრულების ანგარიში;
- მეორე კვარტლის შესრულების ანგარიში;
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 10 დეკემბრის ანგარიში (ფინანსური და სასწავლო საქმიანობის მიმდინარეობის შესახებ);
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

## 4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

### 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

### 4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, „სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება)“, სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის

კანონიერი უფლებების დაცვის წესი, „სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი", „სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება". აღნიშნული შიდა რეგულაციები ეფუძნება საქართველოს მოქმედ კანონმდებლობას. სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება მოსწავლის წახალისების და დისციპლინული დევნის პრინციპები; „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესის" შესაბამისად, მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვის მიზნით განსაზღვრულია შემდეგი მექანიზმები: სკოლის შინაგანაწესი; სკოლის სამეურვეო საბჭო; სკოლის დისციპლინური კომიტეტი; სკოლის მანდატური/უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი; სკოლის ექიმი; თითოეული კლასის დამრიგებელი; სკოლის სასწავლო გეგმა. აღნიშნული წესის თანახმად, აღწერილია მოსწავლის, მოსწავლის მეურვის/კანონიერი წარმომადგენლის, პერსონალის უფლებები. „სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესის" შინაარსიდან გამომდინარე, ბიბლიოთეკის ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეთა, განათლების, კულტურისა და ზოგადი წიგნიერების განვიათარების ხელშეწყობა. აღნიშნული რეგულაციით განისაზღვრება ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, სამკითხველო დარბაზში ქცევის წესები, მკითხველის უფლებები და მოვალეობები და ა.შ. სკოლას ასევე შემუშავებული აქვს მიმართვის ფორმები, მაგ: მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის, სკოლის მიმართვის ფორმები მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნის მიზნით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვასა და გარანტიებს სკოლა უზრუნველყოფს შიდა რეგულაციების შესაბამისად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის შენობაში, ყველასთვის თვალსაჩინო ადგილას გამოკრული იყო სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის მშობლებთან ურთიერთობის დებულება, საგაკვეთილო ცხრილი და ა.შ. სკოლის ვებ - გვერდზე ატვირთულია უფლებების დაცვის Sida სასკოლო რეგულაციები https://skolebi.emis.ge/schools/163?schoolName=%E1%83%A1%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%9E%20-%20%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A5%20%E1%83%97%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A1%20%E2%84%96122%20%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%9D%20%E1%83%A1%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9A%E1%83%90 პერსონალთან, მოსწავლესთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებების თანახმად, შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მისი გაცნობის ფაქტი დასაქმებულის/მოსწავლის/მოსწავლის კანონიერი წარმომადგენლის მიერ დასტურდება ხელმოწერით.

დოკუმენტაციის თანახმად, პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ხდება სკოლის შინაგანაწესის, მათ შორის შეტანილი ცვლილებების გაცნობა სასკოლო საზოგადოებისთვის. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებლის ერთ - ერთ მოვალეობას წარმოადგენს მოსწავლის და მისი მშობელის/კანონიერ წარმომადგენელისთვის მათი უფლება-მოვალეობები შესახებ ინფორმაციის გაცნობა. სკოლის შენობის დათვალიერების, დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან; **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მოსწავლესთან / მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთა გაფორმებული „საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ ხელშეკრულებით" განსაზღვრულია ხელშეკრულების საგანი, სკოლის საქმიანობა, მხარეთა უფლება - მოვალეობები; მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების წესი, სასწავლო დრო, დასვენების დროს, უქმე დღეები, ხელშეკრულების მოქმედების ვადა, ხელშეკრულების შეწყვეტის წესი და სხვა დებულებები. მოსწავლესთან/მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს და მისი გაცნობა დასტურდება ხელმოწერით. დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო „საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება". **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 11 ივლისის 11 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის შინაგანაწესი;
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 20 აპრილის 2-227 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესი (დებულება)";

- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 1 სექტემბრის №2-500 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის წესი“;
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 6 ივნისის 337 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“;
- „სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება“.
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 6 ივნისის 2-336 ბრძანებით დამტკიცებული„სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის მოსწავლის მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- სკოლაში დასაქმებულ პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების ნიმუში;
- მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთა გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- 2022 წლის 7 სექტემბრის პედაგოგიური საბჭოს ოქმი;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- სკოლის ვებ - გვერდი.

**4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები**

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით, სკოლას შემუშავებული აქვს „სსიპ - ქალაქ თბილისის № 122 საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმები“. აღნიშნიშნული შიდა სამართლებრივი დოკუმენტის თანახმად, აღწერილია მოსწავლის პირველ კლასში ჩარიცხვის პროცედურა, მოსწავლის ჩარიცხვის პროცედურა (გარდა პირველი კლასისა), მოსწავლის სტატუსის შეჩერება/ აღდგენის პროცედურა, საფეხურის დაძლევის პროცედურა. მოსწავლის სტატუსთან დაკავშირებული შესაბამისი ღონისძიებები ხორციელდება მოსწავლის, მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელთან, საგანმანათლებლო თუ სხვა იურიდიულ პირებთან მჭიდრო თანამშრომლობით. სკოლის მიერ, საქართველო მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული მოსწავლის სტატუსის განმსაზღვრელი მექანიზმები არის გამჭვირვალე და მკაფიო. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა ხელმძღვანელობს მოქმედი კანონმდებლობით, კერძოდ მოსწავლის ჩარიცხვისა და სტატუსის შეჩერების შემთხვევებში - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინიტრის 2017წ. 11.01. #04/ნ ბრძანებით ზოგადსაგანმნათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ“. მოსწავლის მობილობის (სხვა სკოლიდან გადმოსვლის) შემთხვევებში - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2012 წლის 19 სექტემბრის #193/ნ ბრძანებით „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ“. აღნიშნული ბრძენებების შესაბამისად სკოლას შემუშავებული აქვს „სსიპ - ქალაქ თბილისის № 122 საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმები“. სკოლამ წარმოადგინა შიდა რეგულაციაში ასახული პროცედურის შესაბამისად განხორციელებული, მოსწავლის ჩარიცხვისა მიზნით კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის ფორმა; საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანება (22.3.2023 №2-178), მოსწავლის მიერ საშუალო საფეხურის დაძლევის ამსახველი მასალა. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების თანახმად დგინდება, რომ

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დაცვას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სასკოლო სასწავლო გეგმის, სადამრიგებლო პროგრამებში ასახული შინაარსიდან გამომდინარე კლასის დამრიგებლის მოვალეობად განსაზღვრულია მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის შესახებ ინფორმაციის, აკადემიური მოსწრების და ა.შ ინფორმაციის მშობლისთვის მიწოდება. სკოლის შენობაში, ყველასათვის ხელმისაწვდომ და თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია სკოლის შიდა რეგულაციები, სასწავლო ცხრილი/განრიგი და სხვა სახის საგანმანათლებლო, სოციო - კულტურული სახის ინფორმაცია. სკოლის ვებ - გვერდზე ატვირთულია სკოლის მომსახურებასთან, მოსწავლის უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული შიდა სასკოლო სამართლებრივი აქტები. სკოლა უზრუნველყოფს სხვადასხვა სახის შეხვედრების, სოციალური ქსელის, ვებ - გვერდის და სხვა საშუალებების მეშვეობის მომსახურების, პროგრამების, სკოლის შიდა პოლიტიკის, მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის და ა.შ ინფორმაციის საჯაროდ ხელმისაწვდომობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. მშობელთან ურთიერთობის დებულების შესაბამისად რეგულირდება ინფორმაციის გავრცელების ფორმები, სკოლის და მშობლის უფლება - მოვალეობები, განსახორციელებელი საგანმანათლებლო - საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები. სკოლის სოციალურ ქსელში, ვებ - გვერდზე, საჯარო სივრცეში განთავსებულია ინფორმაცია დაგეგმილი აქტივობების, პროგრამების, სერვისის, სკოლის შიდა რედულაციების შესახებ. დაგეგმილი აქტივობა და დამატებით შეთავაზებული სერვისი თანაბრად ხელმისაწვდომია სკოლაში დასაქმებული ყველა პირისთვის, რომლებიც თავის მხრივ უზრუნველყოფენ ინფორმაციი მიწოდებას, როგორც მოსწავლეებისთვის ასევე მათი მშობლებისა თუ კანონიერი წარმომადგენლებისთვის. ყველა მოსწავლეს აქვს თანაბარი უფლება ისარგებლოს საქართველოს კანონმდებლობით აღიარებული უფლებებითდა ინტერესის შესაბამისად ჩაერთოს აქტივობებში ან ისარგებლოს შეთავაზებული სერვისებით. სოციალურ ქსელში, ვებ - გვერდზე, სკოლის სივრცეში განთავსებული ინფორმაცია არის საჯაროდ ხელმისაწვდომი, კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 1 სექტემბრის 2-499 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ქალაქ თბილისის № 122 საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების და შეწყვეტის მექანიზმი“;
- კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის ფორმა;
- საზღვარგარეთ გამგზავრებასთან დაკავშირებით მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ ბრძანება (22.3.2023 №2-178); სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი (19.5.2023, №2);
- „სსიპ - ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლის მეირ მოსწავლეთა საშუალო საფეხურის დაძლევის შესახებ“ სკოლის დირექტორის მოადგილის 2023 წლის 19 მაისის №2-306;
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 6 ივნისის 2-336 ბრძანებით დამტკიცებული„სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის მოსწავლის მშობლებთან ურთიერთობის დებულება;
- სკოლის ვებ - გვერდი, სოციალური ქსელი.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

**4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება**

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესი. დოკუმენტის მიზანია განსაზღვროს მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურები. სკოლა დაინტერესებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეთა სკოლაში ადაპტაციას და გაადვილოს სასკოლო პროცესში პირველკლასელთა და მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობა. გაამარტივოს იმ მოსსწავლეების ადაპტაციის პროცესი, რომელთაც უჭირთ სასკოლო ცხოვრებაში ჩართვა ენობრივი ბარიერის არსებობის გამო. ასევე, თუ მოსწავლეთა ჩამოთვლილი მიზეზებისგან დამოუკიდებლად გააჩნიათ სასკოლო პროცესთან ადაპტაციის პრობლემები. სკოლის შიდა რეგულაციით განისაზღვრება ადაპტაციის ნიშნები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, დეზადაპტაციის ნიშნები და დეზადაპტაციის პროცესის განსახორციელებელი ღონისძიებები, წარმატებული ადაპტაციის ნიშნები და რეკომენდაციები, პირველკლასელთა და სსსმ მოსწავლეთა ადაპტაციის მიზნით განსახორციელებელი პროცედურა. მოსწავლის ადაპტაციის პროცესში ჩართულია დამრიგებელი, მასწავლებელი, ფსიქოლოგი და ა.შ. მაგ: ფსიქოლოგთან გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსის გათვალისწინებით ფსიქოლოგი მონაწილეობს

სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლისთვის ადაპტირებული სასწავლო მასალის მომზადების პროცესში. სადამრიგებლო პროგრამის შინაარსის გათვალისწინებით, დამრიგებლი ხელს უწყობს მოსწავლის ადაპტაციის პროცესს. სკოლის შენობების საკლასო ოთახები, ბიბლიოთეკა, რესურს ოთახი, ლაბორატორიები ისეა განლაგებული, რომ ხელს უწყობს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან შეუფერხებლივ შეგუებას. სკოლის სოციალური ქსელში ატვირთული მასალის თანახმად, სკოლის მატერიალურ - ტექნიკური რესურსის და სხვადასხვა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის ფარგლებში მოსწავლეები იღებენ მონაწილეობას სხვადასხვა აქტივობებში. აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლის, სოციალური ქსელისა და სკოლის შენობის დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლას ამოქმედებული აქვს მოსწავლი სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მექანიზმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას შემუშავებული აქვს სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესი, რომლის თანახმად განსაზღვრულია, რომ სკოლა ითვალისწინებს მოსწავლის ადაპტაციის მიზნით სხვადასხვა ფაქტორები, მაგ: მოსწავლის ინდივიდუალური თავისებურებები, უფროსი და - ძმის გამოცდილება, სასკოლო მზაობა და სხვა. სწავლის დაწყებამდე, მოსწავლისთვის ხდება სკოლის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა მრავალფეროვანი აქტივობების გამოყენებით, ბავშთან ერთად სასკოლო გარემოს დათვალიერება, კომუნიკაციის დამყარება დამრიგებელთან და მასწავლებელთან. სკოლა მჭიდროდ თანამშრომლობს მოსწავლის მშობელთან, სკოლას შემუშავებული აქვს კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის ფორმა, რომლის თანახმად, მშობელი ავსებს პირველადი საჭიროებების შეფასების კითხვარს. სსსმ მოსწავლეთა წარმატებული ადაპტაციის მიზნით სკოლა ასევე ითვალისწინებს მოსწავლის საჭიროებებს. მოსწავლის მშობელთან გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულების შინაარსიდან გამომდინარე სკოლა ვალდებულია ხელი შეუწყოს მოსწავლეს ახალ გარემოსთან შეგუებაში, სხვადასხვა უნარ-ჩვევების დაუფლებაში. სკოლის სოციალურ ქსელში ატვირთული მასალის/ფოტომასალის თანახმად, სკოლაში აღინიშნება სასწავლო პროცესის დაწყება, დასრულება, სკოლის მიერ განხორციელებულია მრავალფეროვანი, არაფორმალური აქტივობები/ღონისძიებები სკოლის პერსონალის, მოსწავლეებისა და მოწვეული სტუმრების მონაწილეობით. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, სასკოლო გარემოს და სოციალური ქსელის დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ მშობლებთან მჭიდრო თანამშრომლობით, სკოლის მატერიალურ - ტექნიკური რესურსის გამოყენებითა და სასკოლო საზოგადოების

მხარდაჭერით, სწავლის დაწყების მომენტიდანვე ხდება სასწავლო გარემოსთან მოსწავლეთა ადაპტაციის ხელშეწყობა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**3.** სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის, სადამრიგებლო პროგრამის, კათედრების ოქმების, შინაარსებიდან გამომდინარე სასკოლო საზოგადოება რეგულარულად ჩართულია მოსწავლის აკადემიური მიღწევის, დისციპლინის, პიროვნული პრობლემებისა თუ წარმატებების შესახებ მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდების პროცესში. სასკოლო სასწავლო გეგმის და სადამრიგებლო პროგრამის შესაბამისად დამრიგებლის მოვალეობას წარმოადგენს, მოსწავლის შესახებ მშობლლისთვის ინფორმაციის მიწოდება. კათედრის ოქმედის შინაარსებიდან გამომდინარე, ხორციელდება სემესტრის შეჯამება და SWOT ანალიზი. ისგ ჯგუფის ოქმების შესაბამისად დასტურდება, რომ ჯგუფის მიერ სხდომებზე განიხილება ისგ სემესტრული გეგმით გათვალისწინებული ღონისძიეებების შეფასების საკითხი. ასევე ოქმების შინაარსიდან გამომდინარე ჩანს, რომ ხორციელდება პროცესის შეფასება, ანგარიშის მომზადება და შესაბამისი პირებისთვის გაცნობა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლის ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას წარმოდგენილი აქვს დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 6 ივნისის №2-336 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), რომლის თანახმად განსაზღვრულია სკოლის და მშობლი/კანონიერი წარმომადგენლის ვალდებულებები, მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის სტრატეგია, მშობელთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები. აღნიშნული რეგულაციის შინნარსიდან გამომდინარე მშობელს სკოლის საქმიანობის და სასწავლო - აღმზრდელობითი მუშაობის შესახებ ინფორმაცია მიეწოდება მშობელთა კრებებზე, წინასწარ დაუგეგმავ შეხვედრებზე, მიმოწერის საფუძველზე. წარმოდგენილი რეგულაციაზე დაყრდნობით, სკოლას გააჩნია მექანიზმი, რის საფუძველზეც სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლამ წარმოადგინა სამართლებრივი აქტით დამტკიცებული სსიპ - ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლის ინიციატივების მარდაჭერი მექანიზმები. დოკუმენტის შესაბამისად აღწერილია ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები და განსაზღვრულია შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები. სკოლის ვებ - გვერდზე დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისათვის. სკოლის სოციალურ ქსელში ატვირთული არაერთი არაფორმალური / დამატებითი აქტივობის დამადასტურებელი მასალა. წარმოდგენილი დოკუმენტის შესწავლის, ვებ - გვერდის, სოციალური ქსელი დათვალისერების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის კათედრის 2022-2023 სასწავლო წლის გეგმის თანახმად განსაზღვრულია მოსწავლეებთან კვლევის ჩატარება კითხვარების მეშვეობით, კვლევის შედეგების გათვალისწინებით პრობლემის განსაზღვრა და მათი დაძლევის გზების დასახვა. სკოლის მიერ გაწეული მომსახურების შესახებ უკუკავშირის მიწოდება ხდება შემუშავებული კითხვარების, პირისპირ შეხვედრების, სკოლის სოციალურ ქსელში ასახული კომენტარების გათვალისწინებით. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე ხდება ინფორმაციის ანალიზი, იგეგმება განსახორციელებელი ღონისძიებები/აქტივობები, რაც საბოლოოდ აისახება მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 6 ივნისის 2-337 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ქალაქ თბილისის №122 საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესი.
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 6 ივნისის №2-336 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია);
- სსიპ - ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლის ინიციატივების მარდაჭერი მექანიზმები;
- კათედრის 2022-2023 სასწავლო წლის გეგმა;
- მოსწავლესთან / მოსწავლის მშობელთან გაფორმებული საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება;

- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- სადამრიგებლო პროგრამები;
- ვებ - გვერდი, სოციალური ქსელი.

**4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება**

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლის თანამშრომლობს უმაღლეს, პროცესიულ საგანამანთლებლო დაწესებულებებთან, ასევე მასწავლებლის პროფესიული განვიათრების ეროვნულ ცენტრთა. საგანმანათლებლო დაწესებულებებთან გაფორმებულია მემორანდუმები, რომლის თანახმად განსაზვრულია მახარეთა ურთიერთსანაცვლო უფლება მოვალეობები. თანამშრომლობის ფარგლებში მხარეთა მიერ იგეგმება სხვადასვა სახის განსახორციელებელი აქტივობები, მხარეთა ჩართულობით ხდება შესაბამისი გამოცდილების ერთმანეთისთვის გაზიარება. სკოლის სოციალურ ქსელში ატვირთული მასალის შესაბამისად, სხვადასხვა ორგანიზაციის წარმომადგენლებლი სკოლაში ვიზიტის პერიოდში მოსწავლლებს აცნობებენ მოსწავლეებს ინფორმაციას თავისი ორგანიზაციი ან /და სხვა სოციო-კულყურული თემების შესახებ. კოლეჯ იკაროსთან თანამშრომლობის ფარგლებში, კოლეჯმა უზრუნველყოს სკოლის ბაზაზე სამზარეულოს სრული ინვენტარის განთავსება. მოსწავლეები აქტიურად ჩართულნი არიან სკოლის ბაზაზა, კულინარია/კონდიტეერიის მიმართულებით სწავლის პროცესში. სხვადასხვა დაწესებულებებთა თანამშრომლობით განხორციელებული ღონისძიებები/აქტივობები უზრუნველყოფს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების ხელმისაწვდომობას მოსწავლეთათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სსიპ - ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება“ რომლის თანახმად განსაზღვრულია საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის მშობლისთვის მიწოდების წესი და პროცედურა. გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, უნივერსიტეტის / პროფესიული სასწავლებლის წარმომადგენლები საუბრობენ მათ მიერ არჩეულ პროფესიებზე, უნივერსიტეტის იდენტობაზე, მათი თვალით დანახულ პროფესიებზე, მომავლის პროფესიებზე. იმართება დიკუსიები, კითხვა პასუხის რეჟიმში მოსწავლეებს მიეწოდებათ მათთვის საინტერესო ინფორმაციები. სკოლა სხვადასხვა პროფესიების შესახებ საბაზო ან საშუალო საფეხურის მშობლებს და მოსწავლეებს აცნობს სხვადასხვა პროფესიული კოლეჯების ან უნივერსიტეტების ჩამონათვალს, სად რა პროფესია შეუძლია შეიძინოს და გამოიყენოს ცხოვრებაში მოსწავლემ. ინფორმაციის გაცნობა მშობლებისთვის ხდება ან მშობელთა კრებებზე, ან სოციალურ ქსელში მშობელთა ჯგუფებთან, ან იდება სკოლის facebook- ზე ,,ქალაქ თბილისის N122 საჯარო სკოლა’’. მოსწავლეებთან გარდა სოციალური ქსელისა და პირისპირ საუბრისა, სკოლაში მოდიან სხვადასხვა უნივერსიტეტის და კოლეჯის წარმომადგენლები სტუდენტები, პედაგოგები და მოსწავლეებს აცნობენ ინფორმაციას მათი უნივერსიტეტების ან კოლეჯების სწავლების წესზე და უპირატესობებზე. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ მოსწავლეები განსაკუთრებით დაინტერესებულნინ არიან კულინარია, კონდიტერია, აიტი მიმართულებების კუთხით. გაფორმებული მემორანდუმების, სკოლის მატერიალურ - ტექნიკური სივრცისა და სოციალურ ქსელის დათვალიერების, სკოლის ადმინისტრაციასთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო სკოლის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის კათედრის 2022-2023 სასწავლო წლის გეგმის თანახმად განსაზღვრულია მოსწავლეებთან კვლევის ჩატარება კითხვარების მეშვეობით, კვლევის შედეგების გათვალისწინებით პრობლემის განსაზღვრა და მათი დაძლევის გზების დასახვა. სკოლის მიერ გაწეული მომსახურების შესახებ უკუკავშირის მიწოდება ხდება შემუშავებული კითხვარების, პირისპირ შეხვედრების, სკოლის სოციალურ ქსელში ასახული კომენტარების გათვალისწინებით. მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით ხდება ინფორმაციის ანალიზი და იგეგმება განსახორციელებელი ღონისძიებები/აქტივობები. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, სოციალური ქსელში ასახულ ინფორმაციაზე დაყრდნობით დგინდება, რომ მომსახურების

ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია გაწეული მომსახურების შეფასების შედეგები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2019 წლის 22 თებერვალს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს კავკასიის უნივერსიტეტთან;
- 2018 წლის 1 მარტს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს დავით ტვილდიანის სახელობის სამედიცინო უნივერსიტეტის საზოგადოებრივ საექთნო კოლეჯთან;
- 2021 წლის 27 მაისს გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი შპს ევროპის უნივერსიტეტთან;
- დირექტორის 2023 წლის 6 ივნისის №2-336 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ქალაქ თბილისის საჯარო სკოლის მშობლებთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია“;
- სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის 2022-2023 სასწავლო წლის გეგმა;
- https://www.facebook.com/TNDARCHIA/photos/t.100057234230044/2389382784463485/?type=3.

### 4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის სამართლებრივი აქტებით დამტკიცებული სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, სსიპ - ქალაქ თბილისიის №122 საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესი. აღნიშნული სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულია სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების დენტიფიცირებისა და სსსმ სტატუსის მოპოვების, სტატუსის მოხსნის, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისა და შესრულების პროცედურები, სკოლის ვალდებულებები და სსსმ მოსწავლის კონფიდენციალობის დაცვის რეგულაცი, სსსმ მოსწავლის ადაპტაციის პრინციპები. მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მიზნით შემუშავებულია მიმართვის ფორმები. ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა. სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად განსაზღვრულია სსსმ პირთათვის საგანმანატლებლო სერვისის მიწოდების რეგულაცია. სკოლის შენობაში სსსმ მოსწავლეებისთვის განსაზღვრულია რესურს ოთახი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი მატერიალურ - ტექნიკური, სასწავლო რესურსით, დამხმარე რესურსით რაც ხელს უწყობს სსსმ მოსწავლეთა სხვადასხვა უნარის განვითარებას. რესურს ოთახში გამოკრულია მეცადინეობების განრიგი. სკოლის საშტატო განრიგის თანახმად სკოლას განსაზღვრული ყავს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტები: 4 სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი 1, ენისა და მეტყველების სპეციალისტი 1, სპეციალური საგანმანათლებლო საჭირეობის მქონე პირის ასისტენტი 8. აღნიშნულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებების შინაარსიდან გამომდინარე დგინდება, რომ აქტიურად არიან ჩართულები ინკლუზიური გარემოს საკითხებში. სკოლაში ტარდება სხვადასხვა ტიპის ღონისძიება: დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე, აუტიზმის ცნობადობის ამაღლების მსოფლიო დღე, ასევე თითოეულ კლასთან საჭიროებისამებრ ინფორმირებული საუბრები ინტერაქცია. სკოლა მონაწილეობდა საერთაშორისო პროექტში T4 education week, წარსდგა ინკლუზიური განათლების თემი.

. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, შენობის, მატერიალურ - ტექნიკური რესურსის, სოციალური ქსელის დათვალიერების საფუძველზე დგინდება, რომ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლაში შემუშავებული მექანიზმების გათვალისწინებით, სასწავლო წლის დასაწყისში და პერიოდულად მანდატურის სამსახურთან და სკოლის ექიმთან ხდება ინფორმაციის მიწოდება სსსმ მოსწავლეების პერსონალური ინფორმაციისა და მათთან მომუშავე სპეცილაისტების შესახებ. სკოლა ორიენტირებულია ინკლუზიური გარემოს შესაქმნელად, სკოლა უზრუნველყოფილია სასწავლო მასალებით, რესურსებით, ასევე სკოლას ჰყავს 4 სპეციალური მასწავლებელი, 1 ფსიქოლოგი, 1 ენისა და მეტყველების სპეციალისტი, 8 პერსონალური ასისტენტი. სკოლაში ინკლუზიური განათლების ხელმისაწვდომობა მიუთითებს სსსმ მოსწავლეთა რაოდენობაზე, ვიზიტის პერიოდში სკოლაში სწავლობდა 35 სსსმ მოსწავლე. სკოლაში ინკლუზიური განათლება ჯანსაღად და აქტიურად არის დანერგილი, მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის საფუძველზე ის სპეციალისტები რომლებიც განსაზღვრულია მოსწავლესთან მუშაობენ დასახული მიზნების მისაღწევად, სპეციალური მასწავლებლები გარდა საკლასო აქტივობებისა საჭიროებისამებრ მუშაობენ რესურსოთახში ინდივიდუალურად მოსწავლის უნარების გაძლიერებისთვის, საგაკვეთილო პროცესი ასახულია ინდივიდუალური გაკვეთილების განრიგში, რომელიც გამოკრულია როგორც შესასვლელ კარებთან გარე ნაწილში ასევე შიდა სივრცეში რესურსოთახში. ფსიქოლოგი მუშაობს როგორც ტიპური განვითრების მოსწავლეებთან ასევე, სსსმ მოსწავლეებთანაც, ის მუდმივად მუშაობს ქცევით-ემოციურ, კოგნიტურ უნარებზე, ნერგვას სტრატეგიებს სწავლების და ქცევის სწორად წარმართვისთვის, თანამშრომლობს როგორც საგნის მასწვალებელბთან, სპეციალურ მასწავლებელთან, მშობლებთან, პირად ასისტენტებთან, სსსმ მოსწავლის კლასელებთან. კომუნიკაციის, ენისა და მეტყველების სპეციალისტი 4 სპეციალური საგანმანათელბლო საჭიროების მოსწავლესთნ მუშაობდა მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, რომელიც საზღვრავს საჭირო მასალას და არგებს მოსწავლეს, სპეციალური მასწვალებისა და ფსიქოლოგის აქტიური ჩართულობით. სკოლას ჰყავს 8 პერსონალური ასისტენტი, რომლებიც მუშაობენ 12 სსსმ მოსწავლესთან, ზოგიერთი პერსონალური ასისტენტი მუშაობს 2 მოსწავლესთან როდესაც აქვს თავისუფალი დრო, ასისტენტების განრიგი გაწერილია ცხრილის მიხედვით. პერსონალური ასისტენტი მოსწავლეს ეხმარება კლასში და სკოლის სივრცეში ადაპტირებასა და ჩართულობაში, ასევე სასკოლო ღონისძიებებში და გასვლით აქტივობებში, ფუნქციურ უნარებსა და იმ აქტივობების ჩართვაში რაც განესაზღვრება მოსწავლეს მასწავლებისა და სპეც. მასწავლებლის მიერ. სსიპ-ქალაქ თბილისი №122 საჯარო სკოლაში საპილოტე რეჟიმში წარიმართა პორტფოლიოს წარმოება. პორთფოლიომ თვალსაჩინოს ხდის მოსწავლის საჭიროებებს და ძლიერ მხარეებს. დოკუნტური დოსიეს შექმნის პროცესში ჩართულები იყვენენ: სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, პერსონალური ასისტენტი, მშობელი, დამრიგებელი და საგნის მასწავლებელები, ერთობლივი მუშაობა ეხმარებოდა

მოსწავლის სწავლა-სწავლების პროცესესის გაუმჯობესებას. შემუშავდა უნარებზე მორგებული ისგ. წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლაში მოქმედებს ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც თითოეული სემესტრის ბოლოს ინკლუზიური განათლების მონიტორინგის შედეგად აფასებს განხორციელებულ ღონისძიებებს და შეიმუშავებს მონიტორინგის დასკვნას, მონიტორინგის საფუძველზე ჯგუფი გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანამშრომლობას ეფუძნება სსსმ მოსწავლის წინსვლა და განვითარების მხარდაჭერა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 13 თებერვლის №1/კ-20 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლის საშტატო განრიგი“;
- სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია;
- სსიპ - ქალაქ თბილისიის №122 საჯარო სკოლის მოსწავლის ადაპტაციის წესი;
- სკოლის ფსიქოლოგთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- სკოლის ექიმთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში;
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 12 სექტემბრის №2-340 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლის დირექტორის 2018 წლის 21 მაისის „სსიპ ქალაქ თბილისის საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“ №2-277 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ;
- რესურს ოთახის მუშაობის განრიგი (2022-2023 სასწ.წელი)
- სკოლის მიმართვის ფორმა მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნის მიზნით;
- კანონიერი წარმომადგენლის მიმართვის ფორმა მოსწავლის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების შეფასების მოთხოვნის მიზნით;
- მოსწავლის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- ინდივიდუალური ტრანზიციის გეგმა;
- სსიპ ქალაქ თბილისის N122 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა (მონიტორინგის პერიოდი 2022-2023 სასწავლო წლის მეორე სემესტრი);
- მონიტორინგის ჯგუფის 2023 წლის 25 მაისის სხდომის ოქმი;

- მოსწავლის ნამუშევრები;
- სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიო;
- რთული ქცევის მართვის გეგმა.

**4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა სარგებლობს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ქვეპროგრამის ,,ტრანსპორტირება“ მხარდაჭერით და სთავაზობს მომსახურებას მოსწავლეებს, რომელთაც სკოლამდე გასავლელი აქვთ 2 კილომტრზე მეტი მანძილი, მათ საზინადრო ტერიტორიამდე არ დადის მუნიციპალური ტრანსპორტი და სკოლა არის უახლოესი მდებარეობით მათ საცხოვრებელთან. ტრანსპორტი ემსახურება 5 მოსწავლეს (ორი ავტომანქანა) , რომლებიც ცხოვრობენ ნაფეტვრებში. სკოლიდან მათ სამოსახლომდე მანძილი მერყეობს 11კმ-დან-12 კმ-მდე. სკოლამ წარმოადგინა ავტოსატრანსპორტო საშუალების პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ანგარიში, "საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის" პროგრამაში ჩართვის

დამადასტურებელი დოკუმენტაცია. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ არასავალდებულო ხასიათის მომსახურებიდან სკოლა მოსწავლეს სთავაზობს ტრანსპორტირების სერვისს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

**2.** სკოლაში ფუნქციონირებს ხელბურთის უფასო წრე, რომელიც ხელბურთის ფედერაციასთნ მემორანდუმის ფარგლებში დაიწყო. სკოლა ჩართულია „საჯარო სკოლის მოსწავლეების უფასო ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამაში. მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითი პრინციპით და კანონმდებლოს დაცვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის შინაგანაწესის შინაარსიდან გამომდინარე სკოლის მიზანია უსაფრთხო სასწავლო გარემოს შექმნა და ჩამოყალიბება. უსაფრთხოების ნორმები რეგულირდება ასევე, სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკით, საგანგებო მართვის გეგმით. სკოლის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის სამართლებრივი აქტით დამტკიცებულია საგანგებო შტაბი, განსაზღვრულია უსაფრთხოებასა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე უფლებამოსილი პირები. შემუშავებული შიდა რეგულაციების შესაბამისად, სკოლა ახორციელებს ღონისძიებებს/ქმედებებს რათა მომსახურების გაწევის დროს მაქსიმალურად დაცული იყოს უსაფრთხოების სფეროში მოქმედი ნორმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ანგარიში;
- სატრანსპორტო მომსახურების შესყიდვის დოკუმენტაცია;
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 12 სექტემბრის 2-343 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლაში საგანგებო შტაბის შექმნისა და საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების გეგმის დამტკიცების შესახებ;
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 12 სექტემბერის 2-343 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ - ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლის საგანგებო მართვის გეგმა“;
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 23 ივნისის 2-364 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის უსაფრთხოების პოლიტიკა“;
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 5 სექტემბრის ბრძანება „საფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ;
- დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2023 წლის 11 ივლისის 2-421 ბრძანება „სსიპ - ქალაქ თბილისის 122 საჯარო სკოლაში სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვის შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

# ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

## I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვისას, მის სხვადასხვა კომპონენტში სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კურიკულუმის დაგეგმვისას ყურადღება ექცევა კათედრის მუშაობის სპეციფიკას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი (შემდეგში დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი) შედგება: ქართული ენისა და ლიტერატურის (I-VI კლასები), მათემატიკის (I-VI კლასები), ბუნებისმეტყველების (I-VI), ინგლისური ენის (I-VI კლასები), რუსული და/ან გერმანული ენის (V-VI კლასები) სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (I-VI კლასები), მუსიკის (I-VI კლასები), ფიზიკური აღზრდის (I-VI კლასები), კომპიუტერული ტექნოლოგიების (I-VI კლასების) მე და საზოგადოების (III-IV კლასები), ჩვენი საქართველოს (V-VI კლასები), ჭადრაკის (I-II კლასები) საგნობრივი კურიკულუმებისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებისგან. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი შემუშავებულია დაწყებითი საფეხურის ერთი და იმავე და/ან სხვადასხვა საგნის მასწავლებლების თანამშრომლობით, რა დროსაც გათვალისწინებულ იქნა განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის შედეგები. საათობრივი ბადით განსაზღვრული მეორე უცხოური ენის არჩევისას,

მეხუთე კლასში გათვალისწინებულია მოსწავლეებისა და მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების ინტერესი გერმანულ და რუსულ ენასთან დაკავშირებით. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შეარჩიეს კომპლექსური დავალებების იდეები და კონტექსტ-მაგალითები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით. სასკოლო სასწავლო გეგმი პროექტით განსაზღვრული საკლასო და სასკოლო აქტივობებისა თუ პროექტების მიზნები თანხმდება მოსწავლეების მშობლებთან და საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი მოდიფიცირებაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შექმნისას თანამშრომლობენ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები. მასწავლებლები სასწავლო წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, წარმოადგენენ ანგარიშებს, რის საფუძველზეც იგეგმება მოსწავლეთა ინტერსებზე მორგებული სასწავლო პროცესი. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით ქმნიან კლუბებს, წრეებს, გეგმავენ სასკოლო პროექტებს. აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკა განავითარონ და უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული მნიშვნელოვანი აქტივობებისა თუ თემების შესახებ, მშობელთა ინფორმირება ხდება კლასის საერთო კრებებზე. საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, აკადემიური კალენდარი, მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებული და სხვადასხვა დოკუმენტები ატვირთულია საგნობრივი კათედრის ე.წ. თღრუბლოვან სივრცეში და გამოკრულია სკოლის შენობაში არსებულ საინფორმაციო დაფებზე. საჭიროების შემთხვევაში, საგნის მასწავლებლები გამოთქვამენ მზადყოფნას სატელეფონო კავშირით ან ინდივიდუალურ შეხვედრაზე გასცენ პასუხი მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. მაგ.: დაგეგმილი კომპლექსური დავალებების გაცნობა მოხდება მშობლებისათვის მომზადბეული ბარათების და სოციალური ქსელის საშუალებით. სამომავლოდ კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი უკუკავშირის მისაღებად დაწესებულება გამოიყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს, მაგ.: ელექტრონული ფოსტა, სასკოლო საჯარო ღონისძიებები, სოციალური მედია და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხედრის ანგარიში
- დაწყებითი საფეხურის საგნების კურიკულუმი

**2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის მოთხოვნებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, სადაც მოსწავლეზე ორიენტირება ხდება გრძელვადიანი სასწავლო მიზნების, სამიზნე ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, ქვეცნებებისა და საფეხურებრივი შედეგების მიხევდით. კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალების იდეები და მათთან დაკავშირებული კონტექსტ მაგალითები თუ საკვანძო შეკითხვები ითვალისწინებს მოსწავლეთა შესაძლებლობების გააქტიურებასა და გამოვლენა/განვითარებას. სკოლის დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების, მათი პირადი საქმეებისა და სკოლის შენობის დათვალიერების მიხედვით, ისინი სწავლებისა და შეფასებისას ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. ინტერვიურებისა და წამორმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ სასწავლო პროცესში უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ტიპის დავალებებს. საფეხურის სხვადასხვა საგანში მოსწავლეები ქმნიან საგნის შინააარსის შესაბამის შემოქმედებით პროდუქტს (კომიქსი, პოსტერი და სხვა) რომლის საშუალებითაც ადასტურებენ ცოდნას საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ მისაღწევ შედეგებთან მიმართებაში. რის შემდეგაც იგეგმება და

ხორციელდება შემდეგი გასავითარებელი შედეგების ხელშემწყობი სასკოლო და საგაკვეთილო აქტივობები. სსსმ მოსწავლეებისათვის მათი საჭიროებების გათვალისწინებით შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სასწავლო რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ასაკობრივი საჭიროებების გათვალისწინებით. სასკოლო საათობრივი ბადის მიხედვით, დაწყებით საფეხურზე ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით I-VI კლასის ჩათვლით განსაზღვრული ყველა საგანი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემადგენელი საგნების გრძელვადიანი მიზნები ორიენტირებულია ერთ მხრივ ფუნქციური უნარების გამომუშავებაზე და მეორე მხრივ კი სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული საკითხების შესწავლაზე. წარმოდგენილ კურიკულუმებში განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები, ქვეცნება ზუსტად არის მიმართული სამიზნე ცნებასა და საკითხზე. კომპლექსური ბუნების დავალებები, სასკოლო პროექტები (მაგ.: „ახლად შექმნილი ქვეყანა", „გაცოცხლებული და ამეტყველებული ნახატები ფიროსმანისა") და სხვადასხვა საკლასო თუ სასკოლო აქტივობა მიზნად ისახავს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითობის, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, მოქალაქეობის, ხასიათისა და ნისზიყოფა/ნებელობის გამოვლენა/განვითარების შესაძლებლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმების შინაარსის მიხედვით სასწავლო პროცესი იგეგმება და წარიმართება მოსწავლეების ინტერესებიდან, შესაძლებლობებიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე. კომპლექსური ბუნების დავალებების პირობები ისეა შემუშავებული, რომ მოსწავლეებს ერთი და იგივე საკითხის დამუშავებისას და სამიზნე ცნებაზე მუშაობისას აქვთ სხვადასხვა არჩევანი, რაც საბოლოო პროდუქტის მრავალფეროვნების წინაპირობაა. მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით, ისინი ითვალისწინებენ სწავლის სტილს და აღნიშნულის მიხედვითაც აკეთებენ დავალების პირობისა თუ აქტივობების მოდიფიცირებასა და დიფერენცირებას. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლას განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავება, რაც უზრუნველყოფს ინკლუზიურ მიდგომებს სასწავლო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. წარმოდგენილი განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების შეფასების საგანს წარმოადგენს დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული გრძელვადიანი მიზნები და შედეგების ანალიზით შესაძლებელი იქნება სწავლის ხარისხის შეფასება და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთა. განმავთარებელი შეფასების კომენტარების შინაარსებში, იკითხება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ძირითადი მეთოდიკური ორიენტირები, რაც მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს გაიაზროს მასალის შესწავლის ხელშემწყობი ფაქტორები და საკუთარი შესაძლებლობები. დაწყებითი საფეხურის პედაგოგებს გააზრებული და გათავისებული აქვთ შეფასების მნიშვნელობა. იციან თუ რა ადგილი უკავია შეფასებას

სწავლა-სწავლების პროცესში. განმსაზღვრელი შეფასებისას ისინი იყენებენ ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. კომპლექსურ დავალებებში გვხვდება განმავითარებელი შეფასებისათვის გამოსაყენებელი შეფასების კრიტერიუმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლიდან მოწოდებულ მასალებში ჩანს, რომ მასწავლებლები საგნობრივი კურიკულუმის დაგეგმვისას საგნის სპეციფიკის, მოსწავლეთა საკობრივი თავისებურებების და პირადი გამოცდილების საფუძველზე, განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზს, საკუთარ და მოსწავლეთა სავარაუდო პრაქტიკულ გამოცდილებას, დავალებების განხორციელებისას მიღებულ უკუკავშირს, გაკვეთილის რეფლექსიას, შემაჯამებელი დავალების შედეგების ანალიზს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- მასწავლებლის გაკვეთილის რეფლექსია;
- კომპლექსური დავალების იდეა.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

**2.2 კურიკულუმის განხორციელება**

**2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს**

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალებითა (სხვადასხვა პროექტები გეგმები, საგნობრივი კურიულუმები, კომპლექსური ბუნების დავალების პირობები, განმავითარებელი შეფასების რუბრიკები,) და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სხვადასხვა შემოქმედებით პროცესებში (მაგ.: აპრილის თვეში, პროექტის „კრეატიულობა და იტნელექტუალური საკუთრება საქართველოს სკოლებში“ ფარგლებში, ეწყობა მოსწავლეთა ნამუშევრების ტრადიციული გამოფენა; დავით აღმაშენებლისადმი მიძღვნილი პროექტი), რითაც შესაძლებელი იქნება მოსწავლის შინაგან მოტივაციის ზრდა და მათი შესაძლებლობების განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. წარმოდგენილი კურიკულუმების შინაარსი ხელს შეუწყობს მოსწავლეთა წლიდან-წლამდე განვითარებას. საგნობრივ კურიკულუმებში განსაზღვრული თემები, საკითხები და კომპლექსური ბუნების დავალებების იდეები ითვალისწინებს, კონსტრუქტივისტული პრინციპით წინარე ცოდნაზე ახლის აგებასა და შესაბამისი დასკვნის გამოტანას. წარმოდგენილი საგნობრვის საკლასო თუ სასკოლო პროექტებისა (მაგ.: „მიწერე წერილი პერსონაჟს“, „ფრინველები ზამთარში“) და გაკვეთილის გეგმებით განსაზღვრული აქტივობები დაფუძნებულია მიზეზ-შედეგობრივ კავშირზე, გათვალისიწნებულია მოსწავლეთა საკობრივი შესაძლებლობები და უმეტეს შემთხვევაში მოსწავლეს ახალის გაცნობის/გაგების/გააზრების შესაძლებლობას მისცემს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე დგინდება, რომ სასწავლო პროცესში დაწყებითი საფეხურიდანვე აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, მეტაკოგნიტური პროცესების ხელშეწყობაზე, პერსონალური, სოციალური და სწავლის კომპეტენციების განვითარებაზე. კომპლექსური ბუნების დავალებები, პროექტები, (მაგ.: „სამართლიანობის სამსახური“, „მე და ჩემი ქვეყანა“, „მზის სისტემის პლანეტები“, „დედამიწა-ჩემი სახლია“, „ეკოსისტემა“, „შექმენი შენი ეკოგმირი“) საგაკვეთილო პროცესი და სკოლაში არსებული საგანმანათლებლო რესურსები საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლემ თავად განსაზღვროს და დაგეგმოს აქტივობები, ისაუბროს საკუთარი სწავლის პროცესის შესახებ. ამის გარდა, სხვადასხვა დავალებებით წახალისებულია

მოსწავლის ცნობისმოყვარეობა და გათვალისწინებულია მისი ინდივიდუალური გამოცდილება. კურიკულუმებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებულია ისეთი კითხვები, რომლებიც მოითხოვს მოსწავლის მხრიდან რეფლექსიას შესრულებულ სამუშაოზე, მოსწავლე სვამს კითხვებს და აანალიზებს საკუთარი სწავლის პროცესს. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ჩანს მასწავლებელთა კომპეტენცია სწავლის-სწავლის შესახებ, მოსწავლეებისთვის მისაცემი რეკომენდაციების მიმართულებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. წარმოდგენილი კურუკულუმების მიზნების, თემების, საკითხებისა და ცნებებების, კომპლექსური ბუნების დავალებების, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა და დავალებების ნიმუშების შინაარსის მიხედით სკოლაში დაგეგმილი სწავლებისა და შეფასების პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, რასაც ადასტურებს კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, სასწავლო პროექტებზე, ინტეგრირებულ პროექტებზე (მაგ.: ქართულ-ინგლისური პროექტი „ჩვენ ვართ სამყარო“) მუშაობის დროს განხორციელებული აქტივობები, რომელთა განხორცილებისას მოსწავლეს უწევს ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, რაც ხელს უწყობს სიღრმისეულ სწავლას. სკოლა აცნობიერებს, რომ მათ მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები საგნობრივი კომპონენტების ურთიერთდაკავშირებული სწავლების საშუალებას იძლევა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებების იდეები;
- მოსწავლის მიერ შექმნილი პროდუქტი.

**2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.**

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლის მიერ შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ეყრდნობა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დაწყებითი საფეხურის საგნების საგნობრივ სტანდარტებს. კურიკულუმებში იკითხება, რომ სასწავლო პროცესში დამუშავდება საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული სავალდებული თემები, თემაში გაწერილი სამიზნე ცნებები, მკვიდრი წარმოდგენები, საკითხები, საკვანძო შეკითხვები, ასევე კონტექსტმაგალითები, რაც მოსწავლეს გაუადვილებს კონტექსტში დავალების არსის გააზრებას. დავალებაზე მუშაობის პროცესში მოსწავლეებს ასევე მოეხმარებათ სწორად შეთავაზებული სასწავლო-მეთოდოლოგიური რესურსები. სასწავლო პროცესში სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებისათვის პედაგოგები კლასის ყველა მოსწავლეს დაეხმარებიან კომპლექსური დავალების შესრულებაში და საჭიროების შემთხვევაში შეადგენენ მოდიფიცირებული დავალების პირობას. სკოლის მიერ სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის რეალიზების შესაძლებლობა მკაფიოდ იკითხება პედაგოგებთან გასაუბრებისა და კურიკულუმის ჩარჩოებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების იდეებიდან. **ინდიკატორი დაკამყოფილებულია.**
2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებით საფეხურზე განხორციელებული პროექტების აღწერილობაში გაწერილი შუალედური (დავალებები, ეტაპები) და გრძელვადიანი (სამიზნე ცნებები, შედეგები) მიზნებიდან და პროექტის ფარგლებში განხორციელებული აქტივობებიდან, საგნობრივი კურიუკულუმების საკვანძო შეკითხვების შინაარსიდან და არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობით განხორციელებული სხვადასხვა მიზნობრივი პროექტიდან გამომდინარე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ხელი შეეწყობა მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული მოსწავლის შეფასების სისტემის მიხედვით, სკოლა იყენებს შეფასების ხვადასხვა ინსტრუმენტს (მაგ.: რეფლექსია, ტექსტის ანალიზი, წყაროს ანალიზი, ჰიპოთეზებისა და ვარაუდების გამოთქმა, ცდა/ექსპერიმენტი, ამოცანის ამოხსნა). რასაც ასევე ადასტურებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგნობრივ

კურუკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური ბუნების დავალების პირობები და აქვე მოცემული შეფასების კრიტერიუმები. ფასდება როგორც თეორიული ცოდნა, ასევე უნარები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მიერ მოწოდებულ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმში აღნიშნულია, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: 1. ვალიდურობას 2. სანდოობას 3. სამართლიანობას და 4.ობიექტურობას. აღნიშნულს მაქსიმალურ ყურადღებას აქცევენ საგნის მასწავლებლები. წარმოდგენილი დავალების პირობები გამომდინარეობს ეროვნული სასწავლო გეგმიდან, თან ახლავს გაზომვადი შეფასების რუბრიკები, რომელთა განხილვა/შეთანხმებასაც, საგნის/საგნების მასწავლებლები ახდენენ მოსწავლეებთან დავალების პირობის გაცნობის პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მიერ დადგენილ შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმში აღნიშნულია, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს: 1. ვალიდურობას 2. სანდოობას 3. სამართლიანობას და 4.ობიექტურობას, ასევე იმავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევი შედეგების შეფასების მიზნებისათვის სკოლაში ნებადართულია მხოლოდ ვერიფიცირებული შეფასების ინსტრუმენტის გამოყენება: 1. განმავითარებელი შეფასება 2. განმსაზღვრელი შეფასება და ა.შ. **ინიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლას 2023-2023 სასწავლო წლის განმავალობაში მოსწავლეების შეფასების დამადასტურებელი დოკუმენტები დაარქივებული აქვს და გეგმავს შეინახოს მინიმუმ 3 წლით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- კომპლექსური დავალებების იდეები;
- პროექტის გეგმები.

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

**2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას**

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასკოლო სასწავლო გეგმისა და სკოლის შინაგანაწესის შინაარსის მიხედვით, მოსწავლემ განათლება უნდა მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, ასევე იმავე დოკუმენტშია აღნიშნული, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას, ასევე, როგორც სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაშია აღნიშნული, სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა და დასახულია ამის მისაღწევად კონკრეტულად განსახორციელებელი აქტივობები, აქედან გამომდინარე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სასწავლო პროცესში მაღალია ინიციატივების მხარდაჭერა და მიმღებლობა, პოზიტიურია კათედრის წევრებსა და სხვა დასაქმებულებს შორის თანამშრომლობითი ურთიერთობები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. კურიკულუმებიდან, კომპლექსური ბუნების დავალების შინაარისად, ასევე სკოლის მიერ მოწოდებული სასკოლო სასწავლო გეგმაში აღწერილი სკოლის ფილოსოფიის ნაწილიდან გამომდინარე, სადაც მკაფიოდ არის გაწერილი სწავლა-სწავლების ხუთივე კონსტრუქტივისტული პრინციპი, რომლებსაც დაეფუძნება სასწავლო პროცესი, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას, რასაც ადასტურებს კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, ერთობლივად დაგეგმილი საგნობრივი კურიკულუმები, ინტეგრირებული პროექტები და სხვადასხვა აქტივოებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
4. სკოლაში ბოლო დროს განხორციელებული პროექტები, სადამრიგებლო პროგრამები, მშობელთა კრების ოქმები, ცხადყოფს სკოლაში ჩამოყალიბებულ ჰარმონიულ ატმოსფეროს. მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში აშკარად იკვეთება პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- 2023-2024 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა;
- 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- კლასის სადამრიგებლო პროგრამები;
- მშობელთა კრების ოქმი.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

### 2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლა გეგმავს, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის მიხედვით კურუკულუმის მონიტორინგი და შეფასება მოახდინოს ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან მიმართებაში მოსწავლეების შედეგების ანალიზის, მისაღწევ შედეგბთან მიმართებაში მასწავლებელთა პროფესიული კომპეტენციისა და სკოლის მატერიალური რესურსის შესაბამისობის დადგენის მეთოდოლოგიის გამოყენებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. წარმოდგენილი დოკუმენტი და სკოლაში არსებული პრაქტიკა ითვალისწინებს კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში მოსწვალეების შედეგების, მათი რეფლექსიებისა და ინტევრიუების შინაარსის, მშობელთა და კოლეგების მოსაზრებების გათვალისწინებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. წარმოდგენილი დოკუმენტისა და სკოლაში არსებული პრაქტიკის მიხევდით (მაგ.: ურთიერთდასწრება, თვითრეფლექსია, ფორმალური დაკვირვება წინასწარ გაწერილი გეგმის მიხედვით, არაფორმალური დაკვირვება აღწერითი ან ფოკუსირებული ფორმატით), შესაძლებელი იქნება მონიტორინგისა და შეფასების პროცესში პრობლემის ადეკვატური გზების განსაზღვრა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია.

**2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს**

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების შეფასებასება ეყრდნობა ჰოლისტური ხასიათს. შეფასებისას ითვალისწინებენ საფეხურის სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის წინარე გამოცდილებას, რეკომენდაციებს, მათ მიერ წარმოდგენილ მუშაობის პროცესის შედეგების ამსახველი ანგარიშებს, წლის ბოლოს მიღებულ შედეგებს, ტრენინგებზე მიღებული ცოდნა-გამოცდილებასთან არსებული მდგომარეობის შედარებას, კოლეგისაგან გაზიარებული პრაქტიკა, ინტერნეტში მოძიებული ინფორმაცია სიახლეებთან მიმართებაში სკოლის კოლექტივს აძლევს შესაძლებლობას განსაზღვრონ შემდეგი თემატიკის ირგვლივ - სასკოლო კულტურა, თანამშრომლობითი კულტურა, არაფორმალური განათლება, დამრიგებელთა საქმიანობა და უსაფრთხო გარემო - არსებული საჭიროებები და ერთობლივად დასახონ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზები და რასაც ასახავენ კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
2. სასწავლო პროცესის შედეგების შეფასებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, საგნის სწავლების სპეციფიკა, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებიდან მიღებული მონაცემები. ასევე, სკოლაში, კლასში, ეზოსა თუ სხვა არაფორმალურ გარემოში დაკვირვებით მიღებული ინფორმაცია. შესაბამისის ცვლილებები აისახება კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
3. შეფასების პროცესში გამოიყენება მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა: კოლეგების გამოცდილების გაზიარება, მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება, წინარე გამოცდილების გათვალისწინება, შედეგების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, მშობლებთან და მოსწავლეებთან ვერბალური ინტერაქცია, განმავითარებელი შეფასების

სხვადასხვა ინსტრუმენტით მიღებული ინფორმაცია, მასწავლებლების მიერ ერთობლივად დაგეგმილ გაკვეთილების შეფასება და მასწავლებელთა ჯგუფის შეხვედრაზე ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი. ამ მეთოდებით მიღებული ინფორმაცია გადამუშავდება, გამოვლინდება ცვლილებების საჭიროება. იღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას და მიღებული გადაწყვეტილებები აისახება კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საფეხურის სპეციფიკის გათვალისწინებით, შეფასებისას ყურადღება ექცევა სხვადასხვა ფაქტორს: ვინ, რაში, როგორ და რატომ ფასდება, შეფასების რომელ მეთოდები იქნება ადეკვატური შეფასებისას, რატომ არის აუცილებელი მონიტორინგი და შეფასება, რა შედეგის მომცემი იქნება ის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- დაწყებითი საფეხურის საგნების კურიკულუმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შეფასების სხვადსხვა ინსტრუმენტი;
- კლასის სადამრიგებლო საათი;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

### 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

### 2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სასკოლო ცხოვრებაში მიმდინარე პროცესების ჰოლისტური ხასიათის შეფასებით, რა დროსაც ითვალისწინებენ საფეხურის სასკოლო საზოგადოების წევრის წინარე გამოცდილებას, რეკომენდაციებს, მათ მიერ წარმოდგენილ მუშაობის პროცესის შედეგების ამსახველი ანგარიშებს, მოსწავლეთა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტების შედეგების დამადასტურებელ დოკუმენტაციას სკოლის კოლექტივს აძლევს შესაძლებლობას განსაზღვრონ არსებული საჭიროებები და ერთობლივად დასახონ გამოვლენილი პრობლემების გადაჭრის გზები და რასაც ასახავენ კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასების პროცესში სხვადასხხვა ფაქტორზე ყურადღების გამაყვილებით გამოიყენება მონაცემების შეგროვების სხვადასხვა მეთოდი, როგორიცაა: კოლეგების გამოცდილების გაზიარება, მიმდინარე სასწავლო პროცესზე დაკვირვება, წინარე გამოცდილების გათვალისწინება, შედეგების ანალიზი, დიაგნოსტიკური შეფასებები, მშობლებთან და მოსწავლეებთან ვერბალური ინტერაქცია, განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტით მიღებული ინფორმაცია, მასწავლებლების მიერ ერთობლივად დაგეგმილ გაკვეთილების შეფასება და მასწავლებელთა ჯგუფის შეხვედრაზე ჩატარებული გაკვეთილების ანალიზი. აღნიშნული მეთოდებით მიღებული ინფორმაცია გადამუშავდება, გამოვლინდება ცვლილებების საჭიროება. იღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებას და მიღებული გადაწყვეტილებები აისახება კურიკულუმის განახლებულ ვერსიაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხვედრის ანგარიში;
- დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

| სტანდარტი 2 | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება<br>*(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|
| სასკოლო კურიკულუმი | ☒ შეესაბამება |

| საბაზო საფეხურის კურკულუმი | ☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
|---|---|
| **კომონენტი 2.1**<br>კურიკულუმის შემუშავება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.2**<br>კურიკულუმის განხორციელება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.3**<br>კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| **კომონენტი 2.4**<br>კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია | ☒ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

**ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე**

**2. სასკოლო კურიკულუმი**

**2.1. კურიკულუმის შემუშავება**

**2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება**

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც ითვალისწინებს საფეხურის კურიკულუმის დაგეგმვისას, მის სხვადასხვა კომპონენტში სასკოლო საზოგადოების წევრების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კურიკულუმის დაგეგმვისას ყურადღება ექცევა საგნობრივი კათედრების მუშაობის სპეციფიკას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საბაზო საფეხურის კურიკულუმი (შემდეგში საბაზო საფეხურის კურიკულუმი) შედგება: ქართული ენისა და ლიტერატურის (VII-IX კლასები), მათემატიკის (VII-IX კლასები), ინგლისური ენის (VII-IX კლასები), რუსული და/ან გერმანული ენის (VII-IX კლასები) საზოგადოებრივი მეცნიერებების (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა)(VII-IX), საბუნებისმეტყველო მეცნიერებების (ბიოლოგია (VII-IX), ფიზიკა (VII-IX), ქიმია (VIII-IX), სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების (VII-IX კლასები), მუსიკის (VII-IX კლასები), ფიზიკური აღზრდისა და სპორტის (VII-IX კლასები) საგნობრივი კურიკულუმებისა და ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილებისგან. საბაზო საფეხურის კურიკულუმი შემუშავებულია საბაზო საფეხურის ერთი და იმავე და/ან სხვადასხვა საგნის მასწავლებლებისა თუ საგნობრივი კათედრების თანამშრომლობით. რა დროსაც გათვალისწინებულია განხორციელებული პრაქტიკული საქმიანობის შედეგები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით შეარჩიეს კომპლექსური დავალებების იდეები და კონტექსტ-მაგალითები. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტზე დაყრდნობით იკვეთება, რომ სკოლას აქვს ხედვა განავითაროს კურიკულუმი მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და მათი პრიორიტეტების გათვალისწინებით. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული საკლასო და სასკოლო აქტივობებისა თუ პროექტების მიზნები თანხმდება მოსწავლეების მშობლებთან და საჭიროების შემთხვევაში ხდება მათი მოდიფიცირებაც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. საბაზო საფეხურის კურიკულუმის შექმნისას თანამშრომლობენ სხვადასხვა საგნის მასწავლებლები. მასწავლებლები წლის განმავლობაში აკვირდებიან სასწავლო პროცესს, წარმოადგენენ ანგარიშებს, რის საფუძველზეც იგეგემება მოსწავლეთა ინტერსებზე მორგებული სასწავლო პროცესი. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით ქმნიან კლუბებს, წრეებს, გეგმავენ სასკოლო პროექტებსა თუ ექსკურსიებს. აქვთ მზაობა, არსებული პრაქტიკა განავითარონ და უზრუნველყონ მშობელთა ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. საბაზო საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული მნიშვნელოვანი აქტივობებისა თუ თემების შესახებ, მშობელთა ინფორმირება ხდება კლასის საერთო კრებებზე. საგნობრივი კურიკულუმები, სადამრიგებლო პროგრამა, აკადემიური კალენდარი მოსწავლის შეფასების სისტემა თუ საწავლებისა და შეფასების პროცესთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტები ატვირთულია კათედრების ე.წ. ღრუბლოვან სივრცეში. საგნის მასწავლებლები გამოთქვამენ მზადყოფნას სატელეფონო კავშირით ან ინდივიდუალურ შეხვედრაზე გასცენ პასუხი მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. მაგ.: დაგეგმილი კომპლექსური დავალებების გაცნობა მოხდება მშობლებისათვის მომზადებული ბარათების და სოციალური ქსელის საშუალებით. სამომავლოდ კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათი უკუკავშირის მისაღებად დაწესებულება გამოიყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს, მაგ.: ელექტრონული ფოსტა, სასკოლო საჯარო ღონისძიებები, სოციალური მედია და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.*

- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- მასწავლებელთა სასწავლო ჯგუფის შეხედრის ანგარიში;
- საბაზო საფეხურის საგნების კურიკულუმი.

**2.1.2 კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს**

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

**ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**:

